№ 2893
შაბათი,
23 აგვისტო

ცნობის ფურცელი

№ 2893
შაბათი,
23 აგვისტო

[illegible] ღირს: წელიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირადი მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Могзаури". ტელეფონ. № 37.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ-დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 11 თვით 5 მან. 75 კაპ. 10 თვით 5 მან. 20 კაპ., 9 თვით 5 მან., 8 თვით 4 მან. 50 კაპ., 7 თვით 4 მან. 6 თვით 3 მან. 50 კ., 5 თვით 3 მან., 4 თვით 2 მ. 60 კ., 3 თვით 2 მან., 2 თვით 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ, ფულს გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის“ კანტორა უმორჩილესად სთხოვთ **აღნიშნონ ბანდეროლი ან მოიწერონ ის ნომერი, რომელიც ადრესზეა დაბეჭდილი.**

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებით გამოგზავნოს.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს **3 კაპ. ხურათებიანის დამატებით—5 კაპ.**

სოფელ მეჯვრის ხევში გარდაიცვალა

თ. კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ერისთავი

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ქვრივი მისი კნეინა **ალექსანდრა დავითის ასული შვილებითურთ და ძმა თავადი შალვა ალექსანდრეს ძე ერისთავი.** დაკრძალვა სოფელ მეჯვრისხევში დღეს, 23-ს მარიამობისთვეს.

მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ნამესტნიკის მიერ დამტკიცებული

დრამატიული კურსები

ტფილისი, მიხეილის პროსპ. № 123. ტელეფონი № 788.

კურსი **3** წლისაა. საგნები, რომელსაც კურსებზე ასწავლიან: მკაფიო გამოთქმა და სასცენო ხელოვნება სომხურ, **ქართულ** და რუსულ ენებზე; გრიმი, ხატვა, ცეკვა, პლასტიკა, მიმიკა, თეატრის ისტორია და ხმის დაწყება.

მიღება **20 ავგვისტოდან** ყოველ დღე **12-დან 3-მდე და 5-დან 7 საათამდე**, კურსების სადგომში.

პროგრამები იძლევა და იგზავნება უფასოდ. **კურსებთან არსებობს სცენა.**

(20—319—6) კურსების დამაარსებელი **ს. მ. დოლუხანოვისა**

იშვიათი ვაჭრობა

„ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის“

ამხანაგობა

ამით აცნობებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან ბ-ნი სარქისიანი ამხანაგობიდან გამოვიდა და რადგან საქმის მოწესრიგება საჭიროა, ამა თვის 11-დან დაინიშნა.

ვაჭრობა

მაღაზიაში, რომელიც მიხეილის ხიდზეა, ს. ქამოევის სახლში. ამხანაგობის მაღაზიასა და საწყობში არის საქონელი.

100,000 მანეთისა.

მთელი საქონელი, მომზადებული საკუთარ ქარხანაში ოდესას, დაჯდა ისე იაფად, რომ შესაძლებელი ხდება ამისზე [illegible] ფასები დანიშნოს, რასაც არც გაჩერების დროს ქალაქის ფირმები ნიშნავენ.
საქონელი თავის თვისებით, სიკარგით და სიიაფით უეჭველ კონკურენციის გარეშეა.
ამხანაგობა სთხოვს მუშტარს ნუ შეაწუხებს ნაყიდ საქონლის მეტის გადაკეთებით.

ფასები შეუვაჭრებლად.

პატივისცემით სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას კეთილ ინებოს და თვითონ მობრძანდეს. (0—87)

ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. დ. ო. ნიჟარაძე უმორჩილესად სთხოვს ქუთაისის მაზრის როგორც ყველა მიწათმფლობელს, განურჩევლად წოდებისა და სარწმუნოებისა, რომელიც ქუთაისის სახაზინო პალატის სიებით იხდის მიწის ბეგრას მიუხედავად რაოდენობისა, ისე იმ პირთაც, რომელთაც ქალაქს გარე ქუთაისის მაზრაში აქვთ რაიმე უძრავი ქონება, დაფასებული საერობო გარდასახადისათვის, არა ნაკლებ თხუთმეტ ათასის მანეთისა; ანუ აღებული აქვთ სავაჭრო მოწმობა პირველის ორის ხარისხისა და სამრეწველო პირველის ხუთის ხარისხისა, მობრძანდნენ ქ. ქუთაისს უსათუოდ 27-ს ამა აგვისტოს დილის ცხრა საათზედ, და **მიიღონ მონაწილეობა** კრებაში ამოსარჩევად ურთიერთ შორის თავიანთ წარმომადგენლებისა. ეს წარმომადგენელნი მონაწილეობას მიიღებენ საგუბერნიო და სამაზრო სათათბირო სხდომებში, რომელიც დაიწყება 30-ს ამა აგვისტოს და რომელიც შეიმუშავებს საერობო (სათემო) დებულებას სახელმძღვანელოდ იმ საგუბერნიო და სამაზრო საერობო (სათემო) დაწესებულებისა, რომელიც შემოღებული იქნება ქუთაისის გუბერნიაში, განსაგებლად და საპატრონოთ გუბერნიისა და თვითეულს მაზრაში საკუთარ სასარგებლო და საჭირო საქმეებისა. (3—6.—1).

ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. კ. დ. ერისთავი, თანახმად 3 ამა აგვისტოს კავკასიის ნამესტნიკისაგან დამტკიცებულის ინსტრუქციისა,— სთხოვს ოზურგეთის მაზრის ყველა კერძო მემამულეთ, რომელნიც სასოფლო საზოგადოებაში არ ირიცხებიან, სთხოვს აგრეთვე სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათა პატრონებს და იმ მესაკუთრე გლეხებს, რომელთაც, გარდა სანადელო მიწებისა, საკუთრად შეძენილი მიწებიცა აქვთ, მობრძანდნენ 27 ამა აგვისტოს, დილის 9 საათზე ქალაქ ოზურგეთში, სადაც გაიმართება საარჩევნო კრება იმ წარმომადგენელთა ასარჩევად, რომელნიც დაინიშნებიან წევრებად საერობო დაწესებულებათა შემოსაღებად დაარსებულს ოზურგეთის სამაზრო სათათბიროში. ცალკე მოსაწვევი ბარათი არავის გაეგზავნება. (1—1)

ტფილისის საგადოსნო სკოლაში

მისაღები ეგზამენები

დანიშნულია პირველ სექტემბრისათვის. (3—1)

სკოლა-პანსიონი და საბავშვო ბაღი

ბუგაევსკი—ერისთავისა.

გადავიდა ქსენიის ქუჩაზე, № 5, სახლი გოკიელოვისა, „ვეტცელის“ სასტუმროს გვერდზე (კუთხე მიხეილის და ქსენიის ქუჩებისა). მიიღებს მოსწავლე-პანსიონერებს, ნახევარ პანსიონერებს და გარედან მოსიარულებს. ამზადებს საშუალო სკოლების დაბალ კლასებში. ასწავლიან ახალ ენებს. ცეკვა და მუსიკა.
ბავშვების მიღება 24 აგვისტოდან.
3—327—3).

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
იღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი [illegible] № 16.

ექიმი
გ. ა. ბედალინი
მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ფასადის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთი 5-დან 8 საათამდე. (30—6.—23)

ექიმი
დ. გედევანიშვილი.
დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და იღებს ყოველ დღე საღამოს 5-დან 7 საათამდე შინაგან და ნერვიან ავადმყოფებს და ექიმობს ელექტრონით.
ადრესი: კიროჩნი ქუჩა, საზაფხულო კლუბის პირდაპირ, სახლი მარტინოვსკის. (თვ.—328—4).

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი.
იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთებს პლომბებს და სვამს ახალ კბილებს ყოველგვარ მეთოდზე. დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 30. (30—7)

ექიმი
პ. ა. არდაზიანი
იღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს დილ. 7—8 ს. და 4—7 ს. საღ. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა.
ადრესი: ელისაბედის ქ. № 160. (30—5)

დეპეშა

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

20 აგვისტო

პეტერბურგი. ასით ამწყობთა რვა დღის გაფიცვის შემდეგ, დღეს ხელ-ახლად დაიწყო გამოსვლა ვილნაში ებრაულმა გაზ. „გაზმა“ მ.

პორტ-სმუტი, 19 აგვისტო. საზავო ხელ-შეკრულობა 15 მუხლს შეიცავს. ათი მუხლი მარტენსის რედაქციით დაიწერა ფრანგულ ენაზე და იაპონელებმა ინგლისურ ენაზე გადათარგმნეს. ვიტტე დარწმუნებულია, რომ ხელ-შეკრულობის დაწვრილებით შედგენის დროს არავითარი დაბრკოლება აღარ აღმოჩნდება. მარტენსმა გამოუცხადა „მატენ“-ის კორესპონდენტს, მე და დენისონი სრულიად შევთანხმდით პირველ 13 მუხლის შესახებ; ეხლა მხოლოდ ორი მუხლიღა დაგვრჩა: მანჯურიიდან ჯარის გაყვანისა და სახალინის შესახებ. მგონია, რომ მუშაობას ხვალ საღამოს გავათავებთ, თუ ტოკიოდან ახალი ინსტრუქცია არ მოვა სახალინის შესახებ. დღეს ძლიერ კარგად ვმუშაობდით და უნდა გამოვტყდეთ, რომ იაპონელები მეტად წესიერად გვექცეოდნენ და ყოველ ნაირად ცდილობდნენ ჩვენთვის საქმე გაეადვილებინათ.

კომურამ ტოკიოდან არავითარი პასუხი არ მიიღო დროებით ზავის ჩამოგდების შესახებ, რადგან იაპონიასთან ტელეგრაფით მიწერ-მოწერა შეწყვეტილია.

ნიუ-იორკი, 19 აგვისტო. რუზველტისა და გარეშე საქმეთა მინისტრის როოტის დაბრუნების შემდეგ ვაშინგტონში, მოლაპარაკება გაიმართება ჰააგაში სამშვიდობო კონფერენციის მოწვევის შესახებ, რადგან რუზველტი საერთაშორისო საპარლამენტო კავშირს დაჰპირდა ხსენებულ კონფერენციის მოწვევას.

ებრაელმა ბანკირებმა ვიტტეს ადრესი გაუგზავნეს და მოსთხოვეს, ებრაელთა განთავისუფლებას რუსეთში ხელი შეუწყოთო.

ბერლინი, 19 აგვისტო. პოზნანსა და დასავლეთ პრუსიაში ხოლერით ავადმყოფთა რიცხვი მრავლდება.

კავკასი, 17 აგვისტოს ღამით სოფ. ოტირდიგარში მიწის ძვრა იყო.

პორტ-სმუტი. ვიტტემ და კომურამ ხელი მოაწერეს პირობას დროებით ზავზე. ეს პირობა ძალაში შევა მხოლოდ საზავო ხელ-შეკრულობის ხელის მოწერის შემდეგ, მაგრამ მთავარ სარდლებს მაინც ებრძანათ, მტრული მოქმედება შეაყენონ.

პარიზი. ხელის მოწერა გაიმართა, რომ რუზველტს ოქროს დაფნის ტოტი მიართვან და პორტ-სმუტში სასახლე ააშენონ. ამ სასახლეს რუზველტი თავის სურვილით მისცემს რაიმე დანიშნულებას. ხელის მოწერის საქმე ბეჯითად მიდის წინ.

ბერლინი, 20 აგვისტო. იაპონიამ ჯერ კიდევ ზავის ჩამოგდებამდე შეუკვეთა კრუპსა და ვილინგენის ქარხანას ჯავშნის ფილარი 45 მილიონ მარკისა.

ნიუ-იორკი, 20 აგვისტო. მართლდება ის ცნობა, რომ საზავო ხელ-შეკრულობის ტექსტს ჯერ რწმუნებულნი მოაწერენ ხელს, მერე რამდენისამე კვირის შემდეგ დაამტკიცებენ და მხოლოდ ამის შემდეგ გამოაცხადებენ. გუშინდელ სხდომაზე რწმუნებულთ რამდენიმე მუხლი გამოარკვიეს, რომლებიც ტრაქტატის შედგენას აბრკოლებდნენ. ხელის მოწერის შემდეგ ვიტტე და კომურა ცალ-ცალკე წავლენ ოისტერბეიში რუზველტთან გამოსამშვიდობებლად.

21 აგვისტო.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორის ოფიციალური დეპეშა მთავარ-სარდლისადმი: 6 აგვისტოს ჩემმა რწმუნებულებმა პორტ-სმუტში უარ-ჰყვეს იაპონიის მთავრობის შემდეგი მოთხოვნილებანი: კუნძული სახალინის დათმობა, სამხედრო საზღაურის გადახდა, იმ დაზიანებულ გემების დათმობა, რომლებმაც ბრძოლის შემდეგ ნეიტრალურ პორტებში შეაფარნეს და ჩვენის ფლოტის შეზღუდვა წყნარ-ოკეანეში. 16 აგვისტომდე იაპონიის მთავრობამ ყველა ხსენებულ მუხლში დაგვითმო, მხოლოდ ითხოვა, ამის ჯარის მიერ დაჭერილ სახალინის ის ნაწილი დაგვეთმო, რომელიც 1875 წლამდე იაპონიას ეკუთვნოდა და რუსეთს განსაკუთრებულ ხელ-შეკრულობის ძალით დაეთმო. თავ-განწირული და ჩემთვის ძვირფასი არმია 19 თვის განმავლობაში ყოველ ნაბიჯზე მედგრად იგერიებდა მანჯურიაში უმრავლეს მტრის იერიშს და იმისი წინსვლა შეაჩერა. თქვენის ხელმძღვანელობით არმია მოეწყო, რუსეთიდან მოსულ ჯარით გაძლიერდა და ახლა უფრო ძლიერი და მრავალია, სინამ წინედ როდისმე ყოფილა, მზადაა არა თუ მარტო მტრის მოსაგერებლად, არამედ მის მძლავრად დასამარცხებლადაც. მე და მთელ რუსეთს გვწამს ქველ არმიის ძლიერება, გვწამს, რომ იგი მზადაა, თავი შესწიროს სამშობლოს სასარგებლოდ, მაგრამ მოვალეობა ჩემი სინიდისისა და ღვთის განგებით ჩემდამი მონდობილ ერის წინაშე, ნებას არ მაძლევს ხელ-ახლად გამოვსცადო ჩემთვის ძვირფას რუსთა სიმამაცე და ხელ-ახლად გამოვატარო ომის დაუსრულებელი საშინელება შორეულ კუნძულის ნახევარის გულისათვის, რომელიც ჩვენ 1875 წელს დაგვითმო იაპონიამ, მეტადრე იმ მოვალეობის გამო, რომელიც იაპონიის მთავრობამ იკისრა ამ კუნძულის შესახებ. ზავის წინადაწინ პირობას დავეთანხმდი: რუსის ჯარმა ამ სისხლის ღვრელობის დროს არა ერთხელ დაამტკიცა თავისი სიმამაცე და თავგანწირულება. ეს გადაეცით ჩემთვის ძვირფას არმიას. დეე იცოდეს, რომ მე და რუსეთი ვაფასებთ მხნეობას ჯარის მიერ შეწირულს ამ მძიმე ომის დროს. ნიკოლოზი“.

ლონდონი, 20 აგვისტო. „ცენტრალ ნიუსი“-ს სააგენტოს დირექტორმა გუშინ შემდეგი დეპეშა მიიღო რუსეთის ელჩის გრაფ ბენკენდორფისაგან: „ცენტრალ ნიუს“-ის სააგენტომ რუსეთის გარეშე მინისტრს გრაფ ლამსდორფს მილოცვის დეპეშა გაუგზავნა ზავის გამო. მინისტრმა მომანდო, მადლობა გადაგიხადოთ და შეგატყობინოთ თქვენი კითხვის პასუხად: რუსეთის მთავრობას იმედი აქვს, რომ ახალი საზავო ხელ-შეკრულობა რუსეთსა და იაპონიას შორის მკვიდრ კეთილ მეზობლურ ურთიერთობას დაამყარებს.

ჰამბურგი. რუსის ემიგრანტების გადმოყვანა აიკრძალა ხოლერის გამო.

სტამბოლი. ოფიციალურად. ოსმალეთის ჯარი სანაში შევიდა.

ჰელსინგფორსი, 8 აგვისტო. ჰელსინგფორსის ვერფში ჩაუშვეს მესამე სანაღმე კრეისერი, ადგილობრივ სახელოსნოებში აშენებული. კრეისერს სახელიც დაარქვეს „გენერალ კონდრატენკო“. სიგძე 246 ფუტი აქვს, წყალ-წყვა 615-ტონა და მანქანა 7,300 ცხენის ძალისა. მეოთხე კრეისერიც შენდება.

კრემენჩუგი. დიდძალი მუშა ხალხი მიდის სამუშაოდ გარე ადგილებში. საშოვარი ძლიერ მცირეა ცუდის მოსავლის გამო.

ხარბინი. წარმატებით მიდის რუსეთ-ჩინეთის ბანკის განყოფილების მიერ გამოცხადებულ შინაგან სესხის საქმე.

ჰამბურგი. აქ აღმოჩნდა მეორე ავადმყოფი ხოლერით.

ბაქო, 21 აგვისტო. 16 აგვისტოს შუშაში სომხები მოულოდნელად დაეცნენ მუსულმანებს, რომელნიც სომხების ნაწილ ქალაქში ვაჭრობენ და სცხოვრობენ; ყველანი ამოჰხოცეს. შემდეგ სომხებმა ცეცხლს მისცეს მთელი სოფელი, 40 სახლი. ამ უბანში მივიდა ასამდე მუსულმანი, ყოფილ ხანის მეთაურობით მცხოვრებთა დასამშვიდებლად, მაგრამ სომხები დაეცნენ, ბევრი დასჭრეს და დანარჩენებიც ტყვედ წაიყვანეს, დასახმარებლად მოსული გუბერნატორი დასჭრეს სომხებმა. მუსულმანებმა ქალაქში წაიყვანეს დაჭრილი გუბერნატორი და ძალმომრეობით აღშფოთებულებმა სომხების თავდასხმის მოგერიება იწყეს. იმავე დროს ახლო-მახლო სოფლებიდან მუსულმანებს მაშველები მოუვიდათ; მაშინ სომხების სამღვდელოებამ, რომელიც აქამდე არავითარ ზომებს არ იღებდა, თხოვნით მიმართა ხალხს, შესწყვიტეთ ძალადობაო. მუსულმანებმა მაშინათვე შესწყვიტეს სროლა, მაგრამ სომხები კიდევ ისროდნენ. ამის შემდეგ მუსულმანებმაც წინ გაილაშქრეს. ხოცვა-ჟლეტა გრძელდება. ქალაქს ცეცხლი უკიდია ყოველის მხრივ.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

20 აგვისტო.

ვლადივასტოკი, 20 აგვისტო. „ნიკოლსკ უსურისკი ლისტოკ“-ი სამის თვით შეაჩერეს.

პიატიგორსკი. ვინმე სომხის ბინაზე აღმოჩნდა საიდუმლო საწყობი თოფებისა და რევოლვერებისა. დამნაშავე შეიპყრეს.

პარიზი. გაზეთების სიტყვით მოლიატო, გარრეი და ვალინა სამართალში მისცეს მეფე ალფონსისა, ლუბესი და სხვა და სხვა პირთა მოკვლის განზრახვისთვის.

ბერლინი. ოფიციალურად აუწყეს, რომ ხოლერის წინააღმდეგ მიღებულია ყოველივე ზომები.

პეტერბურგი, 20 აგვისტო. დღეს მოვიდა პეტერბურგში სპარსეთის შაჰი ამალითურთ. ვოკზალზე მას შეხვდნენ ხელმწიფე იმპერატორი და დიდი მთავრები.

პორტ-სმუტი. სახალინის გაუმაგრებლად დატოვების საკითხმა გამოიწვია დროებითი დაბრკოლება სამშვიდობო ხელ-შეკრულობაზე თათბირის დროს, ვინაიდან იაპონელები საჭიროდ სთვლიან შექმნან საურთიერთო ვალდებულება სახალინის გაუმაგრებლად დატოვებისა. რუსების ფიქრით-კი, ეს ვალდებულება მხოლოდ იაპონელებს უნდა ეხებოდეს. ყველა დანარჩენ მუხლებში შეთანხმდნენ.

ვიგო. ბომბა გაისროლა ვიღაცამ და მოჰკლა ორი და დასჭრა რამდენიმე.

ვარშავა. სამხედრო სასამართლომ პრუსიელ კასპრჟაკს და ინჟენერ ბურცმანს, რომელთაც ბრალდებოდათ იარაღით მთავრობისათვის წინააღმდეგობის გაწევა და ბოქაულის თანაშემწე ორიდანოვსკისა, ჟანდარმთა რიტმისტრ ვანნიჩეკისა და ორის გოროდოვოის მოკვლა, 1904 წ. აპრილში, პირველს ჩამოხრჩობა და მეორეს 15 წლის კატორღა გადაუწყვიტა.

მიტავა. რადგანაც აქ ხშირად აფუჭებენ ტელეგრაფისა და ტელეფონის მავთულებსა და ჩვენის გზის ლიანდაგს, ამიტომ გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით, თვალ-ყური სოფლების მიერ ამორჩეულმა პირებმა უნდა დაიჭირონ.

პორტ-სმუტი. რადგანაც იაპონიის კაბელი წამხდარია და ტოკიოდან არაფერი ამბები არ მოდის, ამიტომ კომურა ყოყმანში და ვერ მოუწერია ხელი სამშვიდობო ხელშეკრულობაზე ტოკიოში შეუკითხავად.

ბერლინი „ანცაიგერ“-ს აუწყებენ პორტ-სმუტიდან, იაპონელები უარს ამბობენ ამერიკელების მიპატიჟებაზე ზავის ჩამოგდების გამო გამოწვეულ დღესასწაულებზე დასასწრებლად. ისინი ამბობენ, რომ არა აქვთ რა სადღესასწაულო.

21 აგვისტო.

ბერლინი. პრუსიაში 43 ხოლერით ავადმყოფი აღმოაჩინეს. მათ შორის 17 მოკვდა კიდეც.

ეკატერინბურგი. ჩერნომორის ქარხნის ეკლესია გაჰქურდეს. მოჰკლეს ეკლესიაში მძინარე მეტრაპეზე, მისი შვილი და დარაჯი.

მოსკოვი. მოსკოვის სტუდენტების თათბირზე უმეტესობა მომხრეა სწავლის განგრძობისა.

შანხაი. საშინელი ტაიფუნი იყო. ქალაქის ნახევარი ნაწილი წყლით დაიფარა. აუარებელი ზარალია.

პარიზი. მიუხედავად იმისა, რომ დაპერილი ალჟირელი უკვე განთავისუფლეს, საფრანგეთის საელჩოს მაინც ბრძანება მოუვიდა, დაუყოვნებლივ დასტოვოს ფესი, თუ სულთანი არ დაუთმობს ბოდიშის მოხდისა, დაშავებულის დაჯილდოვებისა და დამნაშავეთა დასჯის საკითხებში.

პორტ-სმუტი, 20 აგვისტო. დღეს, საღამოს სხდომაზე, მოეგვარდა უკანასკნელი საკამათო პუნქტი. როზენის სიტყვით ხვალ არ იქნება სხდომა.

შანხაი. აქ ის აზრი მეფობს, რომ ინგლისმა მოსთხოვა იაპონიას ზავის ჩამოგდება.

პორტ სმუტი. რწმუნებულნი შეთანხმდნენ ყველა მუხლებში.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

მანჯურიის რკინის გზის ბედი. ერთ უცხოელ მცოდნე დიპლომატს უთქვამს „რუს“-ის კორესპონდენტისათვის: რამდენადაც შევიტყე, მანჯურიის რკინის გზის ბედი ამნაირად გადაწყდება: ჩინეთი რუსეთს მიჰყიდის ჩრდილოეთ მანჯურიის ნაწილს, სადაც ციმბირის რკინის გზა მიდის, ესე იგი სადგურ მანჯურიიდან სადგურ პოგრანიჩნაიამდე, ასე რომ მაშინ ციმბირის რკინის გზა მოსკოვიდან ვლადივოსტოკამდე სულ რუსის სამფლობელოზე ივლის, მერე, მანჯურიის რკინის გზა, როგორც ვიცით, იაპონიას დაეთმო; მაგრამ ჩინეთი ერთ მილიარდ მანეთამდე მისცემს იაპონიას და ამ გზას დაიხსნის. ამ ფულის ნაწილს ჩინეთი რუსეთისაგან მიიღებს ჩრდილოეთ მანჯურიაში დათმობილ ადგილის ფასადაო.

„ნოვოე ვრემია“ იუწყება ამავე საგანზე: „ბერლინის გაზეთებში ცნობაა დაბეჭდილი, ვითომ რუსეთი ჩინეთისაგან ჩრდილოეთ მანჯურიის ნაწილს ყიდულობდეს სადგურ მანჯურიიდან სადგურ პოგრანიჩნაიამდე სიგრძით 1385 ვერსტს. რუსეთი ამ ადგილში ერთ მილიარდ მანეთს მისცემს ჩინეთს. იაპონია თავის მხრივ მილიარდ მანეთად მიჰყიდის ჩინეთს ხარბინ-პორტ-არტურის რკინის გზას და ინკოუსა და დალნის ტოტებს. ასე რომ ჩინეთის მიერ რუსეთისაგან მიღებული მილიარდი იაპონელების ხელში გადავაო.

„რუსეთის მომავალი“. ბერლინში ამ დღეებში რუდოლფ მარტინის წიგნი გამოვიდა სათაურით: „რუსეთისა და იაპონიის მომავალი.“ ავტორის აზრით, რუსეთის პოლიტიკის დამხობა შორეულ აღმოსავლეთში მომეტებულ ნაწილად შედეგია რუსეთისა და გერმანიის მტრობისა. ამ მტრობის ბრალია აგრეთვე ისიც, რომ რუსეთი მოუმზადებელი გამოდგა ომის დაწყების დროს. ეხლა რუსეთის ოცნება შორეულ აღმოსავლეთში ბატონობაზე და იქნება სტამბოლის დაჭერაზეც სამუდამოდ დაიმარხა

იაპონიის ზღვის ძირზე. იქნება შინაგან არეულობამ, უფრო დიდი შედეგიც მოჰყვეს. რუსეთის ფინანსიური და ეკონომიური მომავალი იმის მიწად-მოქმედების მდგომარეობაზეა დამოკიდებული. ჩვეულებრივ რუსეთში მიწა ძლივს იძლევა იმის მესამედს, რასაც სხვა ქვეყნებში იძლევა; ამას გარდა წელს დიდი მოუსავლობაა. რუსეთის მიწად-მოქმედების რიგზე მოსაწყობად საჭიროა აუარებელი ფული დაიხარჯოს ამ საქმეზე. საფუძვლიანი ცვლილება რუსეთის მიწად-მოქმედებაში მხოლოდ ასის წლის შემდეგ მოხდება. როგორც საფრანგეთში 1789 წელს, ისე ამ ჟამად რუსეთში აუცილებელია დიდი ცვლილება. გინდ ზავი შეჰკრას და კონტრიბუცია გადაიხადოს, გინდ ომი განაგრძოს, რუსეთი ადრე თუ გვიან უსათუოდ ჩავარდება დიდ, აუტანელ გაჭირვებაში. სესხების სარგებლის გადასახდელად რუსეთმა უსათუოდ ახალი სესხი უნდა გამოსცეს, მაგრამ ეს შეუძლებელია. დაცემული მიწად-მოქმედება და ცუდი ფინანსები კრიზისამდე მიიყვანენ რუსეთს, იმიტომ გერმანიამ რაც შეიძლება ჩქარა უნდა გაინაღდოს თავისი სამი მილიარდი მარკა, რომელიც რუსეთის ფასიან ქაღალდებში აქვს დაბანდებული. ეხლანდელ წამზე უკეთეს წამი აღარ დადგება სამისოდ, რადგან ამერიკა ამ ჟამად საფინანსო საქმეებს იჭერს რუსეთში. წინდახედულობა და კეთილ-გონიერება მოითხოვენ, რომ გერმანია კრიზისში არ გაებას. („ს. ო.“).

„რუსკი ვედომოსტი“-ს ბერლინელი კორესპონდენტი შემდეგს იწერება იმავე ავტორის წიგნზე: მარტინის აზრით, რუსეთში სახალხო მეურნეობა დაღუპულია, ფინანსები შერყეულია და მომავალში რუსეთს 600 მილიონი მარკა დეფიციტი ექნება ყოველ წელსაო. ავტორი ბეჯითად ურჩევს თავის თანამემამულეებს, რაც შეიძლება, ჩქარა მოიშორეთ თავიდან რუსის ფასიანი ქაღალდები და რუსეთის ახალ სესხებში მონაწილეობას ნუ მიიღებთ, რაც უნდა სახარბიელო პირობა იყოსო. ბერლინის პრესაში მარტინის წიგნის გამოსვლამ სენსაცია მოახდინა, ცალკე შინაარსით, ცალკე უფრო იმით, რომ ავტორი გამოჩენილი წევრია საიმპერიო სასტატისტიკო ბიუროსი.

გენ. კონდრატენკოს აზრი ზავზე. პორტ-არტურში მოკლული ცნობილი გენერალი კონდრატენკო გონიერი შორსმჭვრეტელი კაცი ყოფილა და ყველაზე წინ მიმხვდარა ზავის აუცილებლობას. „პეტ. გაზეტა“-ში დაბეჭდილია გენ. კონდრატენკოს წერილი გენ. სტესელისადმი. განსვენებული გენერალი ჯერ კიდევ 1904 წელს 18 სექტემბერს სწერდა თურმე გენ. სტესელს: „ამ ჟამად სანამ პორტ-არტური მტერს უძლებს, ჩვენი მარცხი სხვა ადგილებში როდი ჩაითვლება ძლიერ დამამცირებლად. მაგრამ თუ ამ მარცხებს პორტ-არტურის დაცემა და აქაურ ფლოტის დაღუპვა დაერთვის, მაშინ ომი სამუდამოდ წაგებულად უნდა ჩაითვალოს და ასეთი სამხედრო დამარცხება ჩვენის სახელმწიფოს ღირსებასაც დაამცირებს. საეჭვოა, რომ ჩვენმა არმიამ ან ფლოტმა თავის დროზე დაიხსნას პორტ-არტური. ამის იმედი არ უნდა ვიქონიოთ, ამიტომ, თუ გვინდა, რომ საპატიო ზავი შევკრათ, ეხლავე, პორტ-არტურის დაკარგვამდე, უნდა ჩამოვაგდოთ ზავი, რადგან ეხლა (პორტ-არტურის დაცემამდე) ზავას პირობა დამამცირებელი არ იქნება ჩვენის ხალხის თავმოყვარეობისთვის.

ადვილად შესაძლებელია, რომ ხელმწიფეს სწორედ არ მოახსენებდნენ აქაურ ამბებს. იქნება ჭეშმარიტმა და სწორე უქვეშევრდომილესმა მოხსენებამ დიდი უბედურება აცილოს თავიდან ჩვენს სამშობლოს. ამიტომ, როგორც სახელმწიფოს უმაღლესმა წარმომადგენელმა და ხელმწიფის ნდობით მოსილმა, იქნება შესაძლებლად სცნათ და შიფრიანი დეპეშა გაუგზავნოთ მის უდიდებულესობას და ჩვენი მდგომარეობა შორეულ აღმოსავლეთში სწორედ მოახსენოთ? დარწმუნებული ვარ, რომ ზავი აუცილებლად საჭიროა სამშობლოსათვის“.

„რუს“-ი შენიშნავს: „სწორე და უტყუარი მოხსენება“ ბევრ დიდ უბედურებას აცილებდა თავიდან ჩვენს სამშობლოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამისთანა „მოხსენებას“ არავინ ჰგზავნის, უფრო ისეთ მოხსენებას ჰგზავნიან, რომ თავიდან-კი არ გვაცილებენ, პირიქით თავს დაგვატეხენ ხოლმე უბედურებას. საინტერესოა, შეისრულა გენ. სტესელმა თავის ხელქვეით გენერლის თხოვნა თუ არა? ძლიერ ვეჭობთ, რომ შეესრულებინოს.“ („რ.“).

კანონ-პროექტი 8 საათის სამუშაო დღეზე ამერიკაში. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების კონგრესმა საფუძვლიან გამოკვლევის შემდეგ შეადგინა თავისი კანონ-პროექტი 8 საათის სამუშაო დღეზე. კონგრესმა ჯერ დიდ ფირმებს ჰკითხა აზრი ამ საგანზე. ფირმების უმრავლესობამ 8 საათის დღე შეუძლებლად სცნა,— მაგის შესრულება შეუძლებელიაო, მაგრამ კონგრესმა ამ გამოძიებას არ დაუჯერა და პროექტის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა თეორეთიულ მოსაზრებათა სისწორე საქმით გამოსცადა. ამისათვის მეტად საინტერესო გამოკვლევა მოახდინა. ყველაზე შესაფერ ადგილად გემთ-ასაშენებელი ვერფები სცნეს, ერთის მხრივ იმიტომ, რომ იქ ხელით მუშაობა სჭარბობს მაშინით მუშაობას. 1892 წლის კანონით სახელმწიფო ვერფებზე 8 საათის სამუშაო დღეა შემოღებული, კერძო ვერფებზე-კი მომეტებულ ნაწილად 10 საათს მუშაობენ დღეში. კონგრესმა ორის ერთნაირ და თანასწორ ჯავშნიან გემისაშენება მიანდო: ერთის „კონექტიკუტ“-ისა სახელმწიფო ვერფს ბრუკლინში და მეორე „ლუიზანა“-სი—კერძო საზოგადოებას ქალ. ნიუპორტში. „ლუიზანა“-ს კეთებას კერძო ვერფზე 1903 წელს 7 თებერვალს შეუდგნენ და 1904 წელს 27 აგვისტოს წყალში ჩაუშვეს, ესე იგი 568 დღის შემდეგ. წყალში ჩაშვების დროს გემის კორპუსის 54,5% იყო დამთავრებული. კორპუსის აშენებას დასჭირდა 12,216,154 გირვანქა სხვა და სხვა მასალა და 2,413,888 სამუშაო საათი (ათს საათს მუშაობენ აქა).

„კონექტიკუტი“-ს აშენება სახელმწიფო ვერფზე—1902 წლის 10 მარტს დაიწყეს და 1904 წლის 29 სექტემბერს წყალში ჩაუშვეს; ესე იგი 570 დღის შემდეგ. წყალში აგდების წამს, გემის კორპუსის 53,59% იყო დამთავრებული. მასალა დასჭირდა 11,391,040 გირვანქა, სამუშაო საათი 1,808,200 (აქ რვა საათს მუშაობენ).

აქედან თავდაპირველად ისა სჩანს, რომ სახელმწიფო ვერფს მხოლოდ 2 დღე დასჭირდა მეტი შედარებით კერძო ვერფთან, თუმცა სამუშაო დრო პირველ ვერფზე შედარებით 20% ნაკლები იყო.

ანგარიშით გამოდის, რომ ერთ სამუშაო დღეს კერძო ვერფის მუშა 50,688 გირვანქა მასალას ამუშავებს, სახელმწიფო ვერფის მუშა—50,396 გირვანქა მასალას, ესე იგი თითქმის თანასწორად აკეთებენ საქმეს, თუმცა პირველი მუშა 10 საათს მუშაობს, მეორე-კი 8 საათს. მაშასადამე, სახელმწიფო ვერფზე „კონექტიკუტ“-ის აშენების დროს შრომის ძალას 24,48% მოემატებია („რ.“).

ახალი ამბავი

◆ რკინის გზათა სამინისტროში ლაპარაკი აღიძრა იმის შესახებ, რომ რკინის გზის **მოსამსახურეთა შვილების** სწავლა-განათლება სავალდებულო იყოს, რადგან ხშირად სოფლის და ქალაქის პირველ დაწყებით სკოლებში იმათ არ იღებენ უადგილობის გამო. სამინისტრომ აცნობა რკინის გზათა გამგეობას: 1. სასურველია, რომ სახელმწიფომ მიიღოს ამ გვარ ბავშვების აღზრდის ხარჯი, დაუთმოს მუქთად სკოლისათვის სადგომი და იკისროს ხარჯის არა ნაკლებ 50 პროცენტი; 2. დანარჩენი ხარჯი უნდა იკრიბებოდეს—ნაწილი მოსამსახურეთა ჯამაგირიდან, დანარჩენი სხვადასხვა საქველმოქმედო შემოწირულებიდან და ბუფეტების შემოსავლიდან; 3. სახელმწიფოს დახმარებით უნდა გაიმართოს ინტერნატები იმ მოსამსახურეთა ბავშვებისთვის, რომელთაც მიუღიათ პირველ-დაწყებითი სწავლა.

◆ 21 აგვისტოს დაიწყო ქართლ-კახეთის ეპარქიის **სამრევლო სკოლების სამაზრო ზედამხედველთა კრება.** კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საქმეები: 1. რა არის მიზეზი იმ უკმაყოფილებისა, რომელიც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა სამრევლო-საეკლესიო სკოლებს გამოუცხადეს? 2. რა მდგომარეობაშია ადგილობრივ მცხოვრებთა ენა სკოლებში; კლასიფიკაცია სკოლების მოსწავლეთა ეროვნების მიხედვით და გამორკვევა სასწავლო ენის საჭიროებისა თითოეულ ასეთ სკოლისათვის; 3. მდგომარეობა რუსულ ენისა ადგილობრივ სკოლებში; მეთოდი ლექსიურ გაკვეთილებისა რუსულ ენიდან; განაწილება რუსულ ენის შესასწავლად მეცადინეობისა; 4. რუსულ ისტორიისა და გეოგრაფიის შესახებ მოხსენება—როგორ უნდა ისწავლებოდეს ეს საგნები ერთ კლასიან სკოლებში; 5. მოხსენება ექსკურსიების მოწყობის შესახებ და სხვა.

◆ 20 აგვისტოსთვის კავკასიის ნამესტნიკის საბჭოში დანიშნული იყო კრება **პირველ დაწყებით სკოლის პროგრამის განსახილველად.** კრება 20 აგვისტოსთვის გადაიდო. სასულიერო უწყების მხრივ კრებას დაესწრება ქართლ კახეთის საეპარქიო სამრევლო სკოლების მეთვალყურე ოდოევი.

◆ გუშინ ტფილისის ქალაქის მოურავმა შუშის ქალაქის მოურავისა, ადგილობრივ კაზისა და სომეხთა ეპისკოპოსისაგან დეპეშა მიიღო, რომ 20 აგვისტოს **სომეხთა და მაჰმადიანთა სამღვდელოების მეთაურობით** პროცესიამ ქალაქს ყველა ადგილი დაიარა და ხალხი დაამშვიდა. შერიგება უკვე მოხდა. ჯერ-ჯერობით მშვიდობიანობაა.

◆ **საზიზღარ ამბავს გადმოგვცემს** „ჩერ. ვესტ.“ 16 აგვისტოს, შუადღის 2 საათზე, ოზურგეთში, სამხედრო ექიმის ენისბლატის საწოლ ოთახში რევოლვერით თავი მოუკლავს 18 წლის ქალს, ოზურგეთის მცხოვრებს, პროგიმნაზიის მოწაფეს დარიკო ჩხატარაიშვილს. ძალზე აღელვებული ხალხი შემორტყმია სახლს, მაგრამ ექიმი გაპარულა და ყაზარმაში დამალულა. როგორც გამოირკვა, თავის მოკვლის მიზეზი ისა ყოფილა, რომ ექიმს პირობა მიუცია, ცოლად შევირთავო, ნამუსი აუხდია და შემდეგ მიუტოვებია. ექიმი სრულიად გაპარულა ოზურგეთიდან.

◆ კავკასიის **ნამესტნიკის თანაშემწე გენერალი** ი. დ. მალამა დაბრუნდა ტფილისს.

◆ 21 აგვისტოს წმ. ანტონის მონასტრიდან ტფილისში დაბრუნდა **საქართველოს ეგზარხოსი ნიკოლოზი**, ეგზარხოსთან ჩამოვიდა ძმა მისი ს. პეტერბურგის აკადემიის პროფესორი ნალიმოვი.

◆ როგორც გორიდან გვატყობინებენ, 21 აგვისტოს, დილით, ვიღაცას **მოუკლავს ბოქაული თავ. ავალიშვილი.**

◆ ამას წინად კავკასიის ნამესტნიკის საბჭომ პედაგოგებს დაუგზავნა **დაბეჭდილი პროგრამა პირველ დაწყებით სკოლებისა**, შემუშავებული ბ-ნ ჰეპინგის კომისიის მიერ, და მოსთხოვა თავიანთი აზრი გამოეთქვათ ამ პროგრამის შესახებ. ბ-ნმა ი. ს. გოგებაშვილმა ამ საგნის შესახებ დასაბუთებული მოსაზრება წარუდგინა ნამესტნიკის საბჭოს. თავის მოხსენებაში ავტორმა ლაპარაკი აღძრა აგრეთვე ქართველთათვის სახალხო უნივერსიტეტის დაარსების საჭიროების შესახებ.

◆ 21 აგვისტოს კოჯორში ვიღაცას ხმა დაუყრია, მაჰმადიანები **სომხობას ამოულეტთ უქადიანო.** ამ ამბავმა ერთი ალიაქოთი ასტეხა მოაგარაკეთა შორის. 21 აგვისტოსვე მოაგარაკეთა ნახევარზე მეტი ტფილისისაკენ გამოიქცა. გუშინაც ბევრი დაბრუნდა. ხმა, რა თქმა უნდა, ტყუილი გამოდგა.

◆ ნოემბერში ტფილისში, „კავ.“-ს სიტყვით, **მოხდება ამიერ კავკასიის გუბერნატორების კრება.** კრებამ უნდა განიხილოს საერობო გადასახადების აღრიცხვა.

◆ ტფილისის დროებით გენერალ-გუბერნატორმა „გრანდ-ოტელის“ სასტუმროს პატრონი ჯაფარიძე 500 მანეთით დააჯარიმა **ამ სასტუმროში უწესობების აღმოჩენისათვის.**

◆ გზათა მინისტრმა განკარგულება მოახდინა: თუ მოსამსახურის **სამგზავრო ბილეთი** არა მოსამსახურეს აღმოაჩნდეს, მგზავრი უსათუოდ დააჯარიმონ, ხოლო მოსამსახურე სრულიად დაითხოვონ სამსახურიდან.

◆ როგორც ოფიციალურ ცნობებიდან სჩანს, **ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე** ივნისში 11 მატარებელი გადასცდენია ლიანდაგს, 3 მატარებელი დაჯახებია ერთმანეთს, დიდ ნიაღვრებს 1 ალაგას წაულეკნია ლიანდაგი, ხუთჯერ გაუძარცვნიათ სადარაჯო ბუტკები, ორჯელ ცეცხლი წაჰკიდებია. ყველა ამას გარდა ადამიანი დაშავებულა 118. ამათში მხოლოდ ცხრა ყოფილა მგზავრი, დანარჩენნი მოსამსახურენი არიან. მომკვდარან 17, აქედან 13 მოსამსახურე.

◆ გზათა სამინისტროს განუძრახავს **გააუმჯობესოს რკინის გზის დაბალ მოსამსახურეთა**, მეტადრე მიმოსვლის ნაწილის მოსამსახურეთა, სმა-ჭამა. სამინისტრო უკვე შესდგომია ამ საქმის გამოკვლევას.

◆ დუშეთის მაზრის სოფელ ბიჭინაურთკარში და ახლო-მახლო სოფლებში სახნავ-სათესი და საძოვარი ადგილები და ტყეები სახაზინო ყოფილა და აღნიშნულ ადგილების გამიჯვნამდის **გლეხები თავისუფლად სარგებლობდნენ** ამ ადგილებით. გამიჯვნის შემდეგ ეს ადგილები კერძო მემამულის ხელში გადასულა და ამიტომ გლეხები დიდ გაჭირვებაში ჩავარდნილან. მთავრობამ შუამავალი გაგზავნა საქმის გასაგებად. გლეხებს, სხვათა შორის, განუცხადებიათ: მიეცეთ სახელმწიფო ადგილები, ნება ჰქონდეთ ისარგებლონ სახელმწიფო ტყით უფასოდ და სხვა მხრივაც გააუმჯობესონ მათი მდგომარეობა.

◆ ბათუმის გაზეთის სიტყვით, მართალი არ არის ხმა **ბათუმის ქალაქის თავის თავ. ანდრონიკაშვილის** კავკასიის საბრეშუმო სადგურის უფროსად დანიშვნის შესახებ.

◆ **ჯუმათში** 5 აგვისტოს, როგორც მკითხველებმა იციან, **გაძარცვეს ჯუმათის მონასტერი.** 16 აგვისტოს შეკრებილა ხალხი ამ ქურდობის თაობაზე მოსალაპარაკებლად. რამდენიმე ქურდი კიდეც აღმოუჩენიათ და ხალხის სამართალში მიუციათ. „ჩ. ვ.“-ს სიტყვით, დაკარგულ ნივთებს დაეძებენ.

◆ **სოხუმის ქალაქის თავად არჩეული თავ. თავდგირიძე**, როგორც „კავ.“-ს ოფიციალურ ნაწილშია გამოცხადებული, დამტკიცებულ იქნა თანამდებობაზე.

◆ ამას წინად საგუბერნიო მთავრობამ მოსთხოვა მომრიგებელ შუამავლებს ცნობები ისეთ მამასახლისების შესახებ, რომელთაც რუსული ენა ზედ მიწევნით იციან. როგორც მკითხველებმა უკვე იციან, ეს მამასახლისები მოწვეულნი იქნებიან სასამართლოს სხდომებზე **პოლიტიკურ საქმეების განხილვის დროს.** ეხლა ხან შუამავლებს უცნობებიათ მთავრობისთვის, რომ ასეთი მამასახლისი ძალიან ცოტაა და ზოგიერთ მაზრაში თითქმის სულ არ მოიპოვება.

ფელეტონი

კანადა.

თვითმმართველობის შემოღება, პროვინციათა ფედერაცია და ახალშენის დაწინაურება.

როგორც წინა წერილშიაც გვქონდა ნათქვამი, კანადის ორთავე ნაწილში 1837 წელს ამბოხებამ იჩინა თავი. მაგრამ რაკი ამბოხების მომხრე ბევრი არ მოიძებნებოდა კანადაში, მოძრაობას მალე და ადვილად მოუღო ბოლო. მეტროპოლიის მთავრობამ უწინაც იცოდა კანადის მცხოვრებლთა ყოფა-ცხოვრება, მაგრამ თუ ისეთ უკიდურეს საზღვრამდის იქნებოდნენ მისულნი, როგორც ამ ამბოხებამ დაანახვა ინგლისელებს, ამის მოლოდინი კი სრულიად არა ჰქონდათ. ეხლა კი დრო დადგა საქმეს შესდგომოდნენ და თუ მართლა სურდათ ახალშენელთა ცხოვრების გაუმჯობესება, ძირითადი რეფორმის გადადება აღარ შეიძლებოდა. მართლაც, ამბოხების ჩაქრობისათანავე მეტროპოლიის მთავრობამ ორთავე ნაწილში კონსტიტუცია გააუქმა და გენერალ-გუბერნატორად რადიკალთა ბელადი ლორდი დურგამი დაუნიშნა კანადელებს. ლორდ დურგამს კანადის საზღვრებში წესიერება უნდა აღედგინა, კანონის სიწმინდე და პატივი დაეცვა და კანადისთვის სასურველ წესწყობილების გეგმა შეედგინა.

დურგამა ეს უკანასკნელი მინდობილება სამაგალითოდ შეასრულა და სასურველ რეფორმების გეგმა ისეთის ნიჭითა და მიუდგომლობით შეიმუშავა, რომ დურგამის მოხსენებას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ამ მხრივ-კი თავი ისახელა დურგამმა, მაგრამ როგორც გენერალ-გუბერნატორი კი მალე შერცხვა. რადგან რამდენიმე ტყვედ წამოყვანილ მეამბოხეს უკანონოთ თავისუფლება შეუზღუდა. ეს საქციელი იქამდის საძრახისად მიიჩნიეს ინგლისელებმა, რომ დურგამის დატოვება შეუძლებლად დასახეს და თანამდებობიდგან გადააყენეს.

დურგამი გადააყენეს, მაგრამ მისი მოხსენება კი 1839 წლის იანვარში გამოაქვეყნეს. საქმის მიუდგომლად შესწავლის შემდეგ, დურგამი იმ დასკვნას დასდგომოდა, რომ ქვემო და ზემო კანადა უნდა შეერთებულ იქმნან და ორთავე პროვინციას ანგარიშის მიმცემი მთავრობა უნდა მიენიჭოსო. ხალხის წარმომადგენლობა, კითხვების საბოლოოდ გადაწყვეტის უფლებაც რომ ჰქონოდა წარმომადგენლებს მინიჭებული, მაინც ისეთ რეფორმას არ შეადგენდა კანადისთვის, რომლისთვისაც შესაძლებელი იქნებოდა ძირითადი ეწოდებინა. ხალხის წარმომადგენლებს მხოლოდ მაშინ აქვთ ხოლმე მნიშვნელობა და ძალა, როცა აღმასრულებელი ძალა—მინისტრთა კაბინეტი იქნება იგი თუ სხვა რამე ორგანო, წარმომადგენლების წინაშე იქნება პასუხის მგებელი. დურგამს წინებურად ესმოდა ეს და აკი თავის მოხსენებაში გადაწყვეტით ამბობდა: „არ ვიცი და არც მესმის როგორ შეეძლო რომელიმე მოღვაწეს ახალშენისთვის ხალხის წარმომადგენლობა სასურველად დაესახა და ანგარიშ მიმცემ მთავრობაზე კი უარი ეთქვაო?“

ეს მოხსენება იანვარში გამოაქვეყნეს და თიბათვის დამდეგს ინგლისის მთავრობამ კანადაში მოსახდენი რეფორმის საკითხი პარლამენტში აძრა კიდეც, თუმცა იმავე წელს სავსებით განიხილეს დურგამის მიერ შემუშავებული პროექტი, მისი უკანასკნელი განხილვა და დამტკიცება მაინც ერთის წლით გადასდეს, რადგან მომავალ რეფორმებს თვით კანადელებიც უნდა გასცნობოდნენ და თუ საჭირო იქნებოდა, უნდა შეეცვალათ და შესაფერისად შეემუშავებინათ. ახალშენთა მინისტრმა ეს გარემოება ოფიციალურად აუწყა კანადას და სხვათა შორის მისწერა: „მეტროპოლიის მთავრობას აზრადაც არა აქვს ისეთ პოლიტიკას მიჰყვეს კანადის შესახებ, რომელიც კანადელებისთვის სასურველი არ იქნებაო“, ინგლისის მთავრობას გულითა და სულით სურს კანადაში აღმასრულებელი ძალის და საკანონმდებლო საბჭოს შეთანხმებული მოქმედება ნახოსო? და სხ.

დურგამის მიერ შემუშავებული და საზოგადოებათა პალატის მიერ განხილული პროექტი, ინგლისის მთავრობამ საბოლოოდ 1840 წელს დაამტკიცა. ამ კანონმდებლობის ძალით კანადის ორთავე ნაწილი შეერთებულ იქმნა და ორთავე პროვინციას ერთი საკანონმდებლო საბჭო და ერთი საზოგადოებათა პალატა მიენიჭა. საკანონმდებლო საბჭოს წევრებს მთავრობა დანიშნავდა და ქვედა, ანუ საზოგადოებათა პალატის წევრებს კი ორთავე პროვინციის მცხოვრებნი ამოირჩევდნენ. ახალმა კანონმა იურიდიულად თითქმის არაფერი შესცვალა, გარდა იმისა, რომ ორთავე პროვინციას საერთო მთავრობა გაუჩინა. ნამდვილად რითი გათავდებოდა საქმე და პრაქტიკულად როგორ განხორციელდებოდა განძრახული კონსტიტუცია, ამას მხოლოდ შემდეგი დაანახვებდა ყველას. ინგლისს, როგორც თითონ ჰქონდა ყველაფერი ჩვეულებაზედ დამყარებული, იქნება კანადის პოლიტიკური ცხოვრებაც ისე მოეწყო და რაც კანონში არ იყო მოხსენებული იქნება ჩვეულების ძალით შექნა. ახალი კონსტიტუცია ერთ სიტყვასაც არ ამბობდა არც მინისტრთა კაბინეტზედ და არც მათ მიერ წარმომადგენელთა წინაშე ანგარიშის მიცემაზედ. გუბერნატორმა კანონმდებლობის [illegible] სარგებლობა მოინდომა და მინისტრთა კაბინეტს მხოლოდ სათათბირო ხმა დაუტოვა. ეს გარემოება წარმომადგენლებს, რასაკვირველია, არ მოეწონებოდათ და ამიტომ რამდენჯერმე დაადგინეს—მინისტრთა კაბინეტი, მეტროპოლიის სამინისტროსავით მხოლოდ პალატის სურვილებისა და პოლიტიკის განმახორციელებელი ყოფილიყო და მხოლოდ მათ წინაშე აგოს პასუხი. მეტროპოლიამ წარმომადგენელთა მხარი დაიჭირა და გუბერნატორის უფლებანი სამუდამოდ და საბოლოოდ შეზღუდა. ამ დღის იქით კანადის გუბერნატორი ინგლისის მეფესავით „მეფობდა და კი არ განაგებდა ქვეყნის საქმეებს.“

კონსტიტუციის ძალით ყველა ბრძანება და განკარგულება გუბერნატორის სახელით გამოდის, მაგრამ მთავრობის საქციელზე გუბერნატორი არასოდეს არ აგებს პასუხს. ეს, პირველ შეხედვით, უსამართლო და გაუგებარი გარემოება, იმითი აიხსნება, რომ გუბერნატორი მინისტრთა კაბინეტის სურვილების აღმასრულებელია მხოლოდ და თუ პასუხი ვინმემ უნდა აგოს ხალხის წინაშე, ეს მოვალეობა, რასაკვირველია, მხოლოდ მინისტრთა კაბინეტს დააწვება. დაჰკარგავს თუ არა მინისტრთა კაბინეტი პალატის უმეტესობის ნდობას, მაშინვე თანამდებობა- [illegible]

გაიჭიმა; სახალხო განათლებაც წინებურად მოეწყო და ქვემო კანადაში თუ კათოლიკების სამღვდელოება [illegible] ხელს უშლიდა განათლებას, სანაცვლოდ, ზემო კანადაში, სადაც ინგლისელები და [illegible] სახლობენ, სახა- [illegible]

◆ რკინის გზის კონდუქტორებს მცირე ჯამაგირის გარდა ეძლევათ ჯილდო ამისდა მიხედვით, ვინ რამდენ ვერს გაივლის. ზოგიერთ კონდუქტორებს უთხოვნიათ, როგორმე შეიცვალოს სავერსო ფული. ამისათვის მოწვეული იქნება განსაკუთრებული კომისია, რომელიც განიხილავს ამ საქმეს. ჰფიქრობენ, სავერსო ფული დღიურზედ შესცვალონ, დღეში კონდუქტორს ექნება არა ნაკლებ 75 კ.-სა.

◆ დილმის ახლო-მახლო ადგილებში **ყაჩაღთა ბრბომ იჩინა თავი**. სამაზრო ადმინისტრაციის დირაჯთა რაზმი გაუგზავნია ყაჩაღთა შესაპყრობად.

◆ სრულიად რუსეთის სახელმწიფო რკინის გზების მიმოსვლის უფროსთა კრებამ დაადგინა, დაუყოვნებლივ დაარსდეს **სკოლები მიმოსვლის აგენტების მოსამზადებლად**.

◆ სხვა და სხვა სასწავლებლებში **მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობის მშობლებმა** საერთო შუამდგომლობა აღძრეს ნამესტნიკის წინაშე. მშობლები თხოულობენ, ნამესტნიკმა უბრძანოს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, რომ მომავალ სამოსწავლო წლიდანვე ყველა სასწავლებელში სამღვთო სჯული ქართველ მოსწავლეებს სამშობლო ენაზედ ასწავლონ.

◆ ტფ. ქალაქის გამგეობამ დედათა საპროფესიონალო სკოლის უფროსად ქ-ნ დრობიშევსკაიას მისწერა, 25 აგვისტომდე გვცნობეთ, რამ გამოიწვია წელს სკოლაში მოსწავლეთა არეულობაო.

◆ ახალციხის მაზრის ვარძიის მონასტერში შემდეგი ამბავი მომხდარა: 15 აგვისტოს ვარძიის მონასტერში სალოცავად მისულა მოხუცი მღვდელი გიორგი ბერიძე თავისის მეუღლით. გათენების ხანს მღვდლის ცოლი სახლიდან გარედ გასულა და გაუფრთხილებლობით 60 საჟენიან კლდიდან ხევში გადავარდნილა. საცოდავი სულ დაჩეჩქილა. მისი სხეულის ნაწილები იქვე შეუგროვებიათ და მონასტერში დაუსაფლავებიათ.

◆ აპრილში ქალაქის ხორცის დუქნებს ორასი თუმანი უზარალნია.

◆ დუშეთის მაზრის სოფელ ტუარშეთის გლეხებს საძოვარ ადგილების გამო უთანხმოება მოსვლიათ მახლობელ სოფლების მოსახლეობასთან. საგუბერნიო მთავრობამ ამ საქმის გამოსაძიებლად მომრიგებელი შუამავალი გაგზავნა. გლეხები ვერ შეთანხმებულან და ისევ დავა დაუწყიათ.

◆ კვირას, 21 აგვისტოს, ავლაბრის პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დაასაფლავეს ტფილისში ცნობილი ყასაბი ივანე დიდმელაშვილი (ქეჩოთი), რომელიც პოლიციის მე-6 ნაწილში ვიღაც უცნობმა პირმა მოჰკლა ეტლით მომავალი. დასაფლავებას ძლიერ ცოტა ხალხი დაესწრო, თითქმის კუბოს ამწევი ძლივს იშოვნეს, რომ სამარის კარამდე მიეტანათ.

◆ სად. სამტრედია. 19 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, მატარებელი № 146-დან გადმოვარდა და დაშავდა ფოთის საქალაქო სასწავლებლის მასწავლებელი ალექსი ცინავა. დაშავებული ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა პროექტი მამუკას სოფლის მოწყობისა. პროექტით გაყვანილი იქნება ახალი ქუჩები და გაიმართება მოედნები. გეგმის განხორციელება მიენდო ს. ზ. მარზოევს, რომელიც 24 აგვისტოდან შეუდგება მუშაობას ქალაქის ტეხნიკოსის დახმარებით. მამუკას სოფელში წყლის მილის გაყვანასაც შეუდგა გამგეობა.

◆ სად. ქურდამირი. 20 აგვისტოს, ღამის 1 საათზე, საპიორის პოლკის სალდათი თევდორე მანგინი ჩამოვარდა სამხედრო მატარებლიდან № 157 და დაშავდა.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრმა ტ. ა. ენფიანჯიანცმა ორის თვით სამსახურიდან განთავისუფლება სთხოვა ქალაქის გამგეობას.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი, 21 აგვისტო. „ნოვოე ვრემია" იუწყება, სექტემბერში შესდგება თათბირი მინისტრთა კაბინეტის შემოღების შესახებ.

გრაფ სოლსკის მეორე სხდომაზე განაგრძეს იმ წესების განხილვა, რომელიც სათათბიროს გახსნისათვის მომზადებას შეეხებიან. შემდეგი სხდომა 23 აგვისტოსათვისაა დანიშნული. განიხილავენ საკითხებს პოლონეთის საარჩევნო უფლების შესახებ.

„რუს"-მა დასტამბა საგუბერნიო სია იმ პირთა, რომელთა არჩევას სათათბიროში იგი არსებითად სამნიშვნელოდ სცნობს. ამ ჟამად ხელ-ახლა მიეცა ნება საგლეხო ბანკს შეუდგეს ყოველ გვარ ოპერაციებს, რის გამოც ბანკი მამულს იძენს პრივოლჟიაში, სამხრეთით. რათა პატარა-პატარა ნაჭრებად გადასცეს გაჭირებულ გლეხებს.

ახალი კანონ-მდებლობა პრესისა გამოქვეყნებულ იქნება სათათბიროში განხილვამდე.

„რუს"-ს გაუგონია, რომ სამოსამართლო პალატების ყველა ოლქებში, გარდა ყაზანისა, თავის საზღვარს მიაღწია დადგენილმა 10%-ნმა ნორმამ არა ქრისტეანე ნაფიცვექილთათვისო.

„სლოვო" იუწყება, კიდევ არაა გადაწყვეტილი ბულიგინის გასვლა სამსახურიდან, ამიტომ სამინისტრო იძულებულია, დროებით შეაჩეროს ზოგიერთი შინაური განახლებანი და 1906 წლისთვის 1905 ხარჯთაღრიცხვა მიიღოს.

დროების მსხვერპლნი

„ათინელებო, მანამ ცოცხალი ვარ და ძალა მაქვს, არასოდეს არ დავანებებ თავს ჭეშმარიტების ძიებას და თქვენც მისთვის მოგიგონებთ. მე მგონია, რომ მე ღმერთმა გამომგზავნა თქვენ გასაღვიძებლად, როგორც კრაზანა კბენით აღვიძებს ღონიერს, მაგრამ ზარმაცს ცხენს. იქნება, თქვენ ჯავრობდეთ, რომ ძილს გიფრთხობთ; მაშინ გამდევნეთ, დამშვიდდით და იძინეთ საუკუნოდ. სხვებსავით მე არ გავაღვიძებ თქვენს გულში სიბრალულს ტირილით და ხვეწნით, ან ჩემის ბავშვების ცრემლებით, რადგანაც სოკრატი სხვას არა ჰგავს".

ოცდა ოთხი საუკუნე გავიდა მას აქეთ, რაც ეს ამაყი სიტყვები წარმოსთქვა ათინელმა ფილოსოფოსმა სოკრატმა თავის მოსამართლეების წინაშე.

რა ბრალსა სდებდნენ ფილოსოფოსს, რა დანაშაული ჩაიდინა საზოგადოების წინაშე?

„სოკრატს ის ბრალი ედება, რომ თაყვანს არა სცემს ქალაქის მიერ მიჩნეულ ღმერთებს და ამასთან ქადაგებს თავის საკუთარსა! ის ბრალი ედება, რომ ხრწნის ყმაწვილკაცობას. დამსახურებული სასჯელი—სიკვდილია.

არ იმოქმედა ათინელებზე სოკრატის გულწრფელობამ, მაგრამ გამკიცხველმა სიტყვებმა: შხამი სიკვდილი გადაუწყვიტეს.

„იქნება დამსმენელები მელიტი და ანიტი ორივენი სტყუიან, ამბობდნენ ათინის მოქალაქენი, როცა ბრუნდებოდნენ მოედანიდან სოკრატის გასამართლების შემდეგ, მაგრამ განა ეს მოსათმენია? რასა ქადაგებს? ყმაწვილებს ჰბადავს, ძირს უთხრის აზრებს, რომელიც გადმოგვცა მამა-პაპამ, ქადაგებს ახალ სათნოებაზე, რომელიც უნდა შეიგნო და ეძიო, ქადაგებს ღმერთზე, რომელიც ჩვენთვის უცნობია, დაუდგევარი, მას უნდა თვით ღმერთებიც კი გააუმჯობესოს! არა, ჩვენთვის უფრო მშვიდობიანია თაყვანისცემა ძველის, კარგად ნაცნობის, ღმერთებისა! რა უყოთ, რომ ხანდახან მართალნი არ არიან, რა უყოთ, რომ ხანდახან უსაფუძვლოდ რისხდებიან და ზოგჯერ ვნებათა ღელვას ჰყვებიან, მაგრამ განა იმათთან არა სცხოვრობდნენ ჩვენი წინაპარნი სულის მყუდროებაში, განა იმათის შემწეობით არ აკეთებდნენ საგმირო საქმეებს? ეხლა ოლიმპიელ ღმერთების სახე მიკრთა და ძველი სათნოება შეირყა. რა მოჰყვება შემდეგში? განა საჭირო არ არის ერთის მოკვეთით ბოლო მოუღოთ გამრყვნელ სიბრძნეს?".

ბოლო მოუღეს ათინელებმა გამრყვნელ ბრძენს. ბუნდად გრძნობდნენ გულქვავი მოქალაქენი, რომ საზიზღარი საქმე ჩაიდინეს, გამოასალმეს წუთისოფელს საუკეთესო შვილი სამშობლოსი, მაგრამ ნათლად ხედავდა თავის მოქმედების საზიზღრობას ყრმა კტეზიპპი, გულწრფელი მოწაფე სოკრატისა. მწარე ფიქრებით მოცული კტეზიპპი ვერ შერიგებოდა მასწავლებლის სიკვდილს. „ჰეი ღამეო; თქვენ ბუმბერაზნო მთანო, ღრუბლებით მოცულნო; შენ ზღვაო, მუდმივ რომ ბუტბუტებ და თავის თავად მოძრაობ; თქვენ მოუსვენარნო ქარნო, რომელთაც ფრთები დაგაქვთ სუნთქვა თვალუწვდენელი სამყაროსი; შენ ვარსკვლავებით მოჭედილო გუმბათო, მოფენილო მფრინავ ღრუბლებით; შენ, ნელად მნათობო ცისკარო, წამიყვანეთ თქვენთან, ამიხსენით საიდუმლოება ამ სიკვდილისა, თუ იცით. და თუ არ იცით, მიეცით ჩემს უცოდინარობას თქვენი უგრძნობლობა. ამომგლიჯეთ მტანჯველი კითხვები; აღარ შემიძლიან ვატარო გულში უპასუხოდ და უიმედოდ პასუხის მიღებაზედ?"

ასე მიმართავდა კტეზიპპი, მაგრამ სდუმდა შავი ღამე, სდუმდნენ ბუმბერაზნი მთანი; დასძინებოდა ბუტბუტა ზღვას; გულგრილად მიჰქროდნენ ქარნი; მშვიდად დასცქეროდა ზევიდან ვარსკვლავებით მოჭედილი გუმბათი; ღრუბლებში მიმალულიყო ცისკარი... არავისა სურდა პასუხის მიცემა.

კტეზიპპო, ნუ გგონია, რომ მარტო შენ მოგიცავს მწარე ფიქრებმა; ნუ გგონია, რომ მარტო ათინელებმა გამოასალმეს წუთისოფელს კაცი მართალი. არა, აგერ ოცდა თოხი საუკუნე გადის და ათინელების საქმე ათასჯერ გამეორებულა. გავა მაგდენი საუკუნე, გავა კიდევ ორჯელ მეტი, მაგრამ სოკრატის ბედი არა ერთხელ ეწვევა ადამიანთა შვილებს, რომელნიც მიჰბაძვენ ათინელ ფილოსოფოსს. გულქვა, უმეცარნი მოქალაქენი აწამებენ მათთვის კეთილის მოსურნეს, ბოლოს მოუღებენ მართალ კაცს. ეს კანონია ცხოვრებისა.

კტეზიპპო, შენ იტანჯებოდი ჩვენზედ მეტად, რადგანაც ვერ გაიგენი საიდუმლოება სოკრატის სიკვდილისა. შენ მიმართე საიდუმლოების ასახსნელად უსულო სტიქიებს: ისინი გეგონა ადამიანებზედ უკეთესად, მაგრამ პასუხი ვერ მიიღე. მე გიპასუხებ, მე ვიცი საიდუმლოება მართალი კაცის სიკვდილისა, რადგანაც ჩემ თვალწინ ათასობით ისჯებიან კაცნი მართალნი; მე აგიხსნი საიდუმლოებას, მაგრამ განა ახსნა—ნუგეშია. განა საიდუმლოების ცოდნა უფრო არ აორკეცებს ჩემს მწუხარებას და წყევლას იმათდამი, ვინც დამნაშავეა მართალი კაცის წამებაში? ყური დამიგდე. მართალს ამბობდნენ ათინელები. ხალხს, მომეტებულ ნაწილს, უყვარს მყუდროდ ცხოვრება; ეშინიან ახლისა: ვინ იცის, საით წაიყვანს. ხალხი შესისხლხორცებულია მამა-პაპისაგან დაწესებულ ცხოვრებასთან, მათ აზრებთან, გრძნობებთან და, ხომ იცი, რა ძნელია ჩვეულების დატოვება. სოკრატი კი თავის სწავლით არღვევდა ძველ ცხოვრებას და ახლისკენ იწვევდა. აი რა არ მოსწონდათ ათინელებს, აი რამ გამოასალმა სოკრატი წუთისოფელს. გაიგონე კიდევ შემდეგი: ხალხის დაუძრაობა ძველის ცხოვრებისადმი სიყვარული ხელსაყრელია უმცირესობისათვის. მათ ხელთ არის ძალა, რომელიც უმრავლესობის ბატონად ხდის. ძალა კი ყველას უყვარს; ნებით არავინ დაუთმობს სხვას. სოკრატების სწავლა კი ძირს უთხრის უმცირესობის ძალას და როგორ არ განრისხდეს. სოკრატი უმეტესად ძალთა მყოფების მსხვერპლი იყო.

გავიდა დრო-ჟამი. ცხოვრება იცვალა. ჩვენ შევისისხლხორცეთ სოკრატის სწავლება და ეხლა მაგისთანა ადამიანს აღარ დავსჯით სიკვდილით. მაგრამ სოკრატის ადგილი სხვა „მართალ კაცთა" დაიჭირეს. ისინიც სოკრატივით დროების მსხვერპლნი არიან. ბევრნი მათგანი წავიდნენ საიქიოს; უფრო ბევრნი საპყრობილეში არიან დამწყვდეულნი და ელიან თავიანთ ციკუტას.

რათა? რისთვის? ისინიც სოკრატივით ძირს უთხრიან ძალთა მყოფთა ბატონობას, აღვიძებენ ხალხს და იწვევენ ახალ ცხოვრებისკენ. ცამდის მართალნი არიან ისინი; საუკეთესო შვილნი არიან სამშობლოსი; იმათაც მერმისში იგივე დიდება და საუკუნოდ ხსენება მოელით, როგორც სოკრატს, მაგრამ ეხლა დროების მსხვერპლნი უნდა გახდნენ. დროება მოლოხია და აურებელ მსხვერპლს ითხოვს.

მაგრამ, კტეზიპპო, მე ორ დროებას მოვესწარი: ძველი დროება საუკუნოების ჯურღმულში ინთქმება თანდათან. მსხვერპლმა ნაყოფი მოიტანა და ახალ დროების ნიშნები გამოჩნდა. ჯერ კიდევ ცოცხალი არიან „მართალნი კაცნი", რომელნიც იბრძოდნენ ახალ დროებისათვის. მაშ მოუსურვე თავისუფლება ჩვენ სოკრატებს!

უღ—ი

სოფლად

კახეთი. არ იქნა, ვერ გადარჩა კახთა სოფლები ეკზეკუციას. ბევრს ერთადერთ ნუგეშად ეს მიაჩნია და მაზე ამყარებს თავის იმედებს. არ მოგვირიგდებით და აი ყაზახებიო. სოფ. გრემის ამბავი უკვე მოეხსენება მკითხველს. 8 აგვისტოს თოფებმა ექვსი სული იმსხვერპლა და რამდენიმე დასჭრა-დაამახინჯა. მერე რა იყო მიზეზი? მიწის მზომელს ნება არ მისცეს ტყე გაემიჯნა. მერე ხომ მისცეს წელს ამის ნება. განა სოფ. შაშიანში არ იყო რომ მიწების გასამიჯნავად მიწის მზომელი თავის ბარგიბარხანით უკან გამოისტუმრეს. უეჭველად სისხლის ღვრა იყო საჭირო?! მაგრამ მას თავი დავანებოთ. ამ უბედურების შემდეგ მემამულეებმა კაცი გაუგზავნეს გლეხებს და ეხვეწებოდნენ შერიგებას, გლეხებმა შუაკაცი არც კი მიიღეს. ვინ იცის კიდევ რით გათავდება საქმე. ჯერ-ჯერობით კი გრემის და ენისლის მემამულეებს ახლო აღარ ეკარებიან. ასევე იქნება სხვა სოფლებშიაც, თუ ეხლავე მემამულეები და გლეხები მშვიდობიანად არ შეთანხმდნენ და ამის საშუალებად ეკზეკუციას მიმართეს. შეიძლება მემამულეთ რეპრესიით თავიანთი სიტყვა შეასრულონ, ასაღები აიღონ, დასასჯელი დასაჯონ; მაგ. სოფ. ახატელში და ვანთაში ეკზეკუციამ მემამულეებსაც ჩააბარა მიწის ღალა და სოფელსაც კარგი დღე არ დააყარა, სოფლელთ ქერი რომ არა ჰქონდათ, პურს ართმევდნენ და ქერზე სცვლიდნენ, კვერცხ-ქათამზედ და სხვა. მაგრამ ყველამ კარგად უნდა იცოდეს, რომ ყოველთვის ეკზეკუცია არ ედგმება სოფელს.

სოფ. მატანში იქამდე გამწვავდა ღალის საქმე, რომ ერთი ესკადრონი მოვიდა და ეკზეკუციაც უნდა ჩაეყენებინათ, მაგრამ მაზრის წინამძღოლის თავ. ნ. ჩოლოყაშვილს მოეწერა, ჩემ მოსვლამდე დაიცადეთო. თითონაც მოვიდა, 15 აგვისტოს დაიბარა მემამულე ჩოლოყაშვილები და გლეხები და როგორც იყო მორიგდა დღიურზე კოდ პურად. რაც შეეხება სიმინდს და ფეტვს ეს ისევ გადასაწყვეტი დარჩა; რასაკვირველია, ამაშიაც ადვილად მორიგდებიან და ეკზეკუციამდე არ მიიყვანენ საქმეს. ასე მშვიდობიანად გათავდებოდა საქმე, რომ პოლიციის შვიდი კაცი აღარ დაეჭირა, როგორც გლეხთა აჯანყების მეთაურნი. სამი ისევ გაანთავისუფლეს, ხოლო ოთხი კი თელავის საპყრობილეში გამოისტუმრეს.

წინა წერილში სიხარულით ვაცხადებდი, რომ სოფ. კურდღელაურის მემამულეთ თავ. ვაჩნაძეთ და რუსიშვილთ წინდახედულება გამოიჩინეს და მიწის ღალაში მორიგდნენ მეთქი. ეხლა-კი, სამწუხაროდ

როდესაც ამ განცხადებების და დაწვრილმანების ცუდ შედეგს ყველა აშკარად ხედავდა.

ასეთი მდგომარეობა დიდი ხანი ვერ გაგრძელდა. პროვინციათა შეერთება-ფედერაცია კულტურული ზრდის აუცილებელი შედეგი იყო. კანადის საუკეთესო მოღვაწეთ ჯერ 1849 წელსვე დაბადათ ეს აზრი და ამ აზრით ლიგაც კი დააარსეს. ხუთი წლის შემდეგ სხვა და სხვა პროვინციების პალატებმაც აღძრეს ეს კითხვა და ამ რიგად, ფედერაციის აზრი საპარლამენტო კითხვათ გადაიქცა. პირველად ახალი შოტლანდიის პალატამ აღძრა ამ საგანზედ ლაპარაკი (1854 წ.) და სხვათა შორის დაადგინა: „ინგლისის ახალშენთა ფედერაცია ანუ შეერთება, გარდა იმისა, რომ მეტროპოლიასთან უფრო მჭიდროდ დააკავშირებს მათ, ახალშენთა პროგრესსა და მატერიალურ კეთილდღეობასაც ხელს შეუწყობს, ძალას გაუორკეცებს და მნიშვნელობასა და ავტორიტეტს მიუმატებსო". ამის შემდეგ ფედერალურმა მოძრაობამ შესამჩნევად დაიწყო ზრდა და მალე პოლიტიკური პარტიების პროგრამებშიც პირველი ადგილი დაიჭირა.

ის ახალშენები, რომლებმაც სრული თავისუფლება და მეტროპოლიის მხრივ დამოუკიდებლობა დიდის გაჭირვებით მოიპოვეს, ეხლა მზათ იყვნენ დამოუკიდებლობის ერთი ნაწილი ერთმანეთისთვის დაეთმოთ, ოღონდ ზოგიერთი საერთო და დიდმნიშვნელოვანი მიზანი მისაღწევი გაეხადათ მათთვის.

განცხადებებმა სიტყვა მალე აქციეს საქმედ და 1864 წელს სხვა და სხვა პროვინციების წარმომადგენლებმა ამ საკითხის შესახებ ბჭობა გამართეს. კონვენტში ოცდაათი გამოცდილი, ცოდნით აღჭურვილი და კანადის საუკეთესო პირნი იღებდნენ მონაწილეობას. საგულისხმიერო აქ ის იყო, რომ ეს წარმომადგენლები მცხოვრებლების მიერ როდი იყვნენ არჩეული, კონვენტის წევრნი მინისტრებისა და საერთოთ მთავრობის რწმუნებულნი იყვნენ, თუმცა ფაქტიურად მინისტრები, რასაკვირველია, მცხოვრებთა უმეტესობის სურვილის გამომხატველნი იყვნენ. კონვენტმა სამი კვირის განმავლობაში ფედერაციის პროექტი შეიმუშავა და მას შესახებ სამოცდა თორმეტი რეზოლიუცია დაადგინა. ეს რეზოლიუციები ყოველი პროვინციის პალატამ ცალკე განიხილა, დაამტკიცა და ამას შემდეგ ინგლისის მთავრობას შესაფერისი ადრესი გაუგზავნა.

1867 წლის 17 თებერვალს ახალშენთა მინისტრმა პარლამენტში განსახილველად კანადის კანონპროექტი შეიტანა, რომელიც მცირე თათბირის შემდეგ მიღებულ იქნა და იმავე წლის 29 მარტს ინგლისის დედოფალმა ხელიც მოაწერა.

ფედერაციაში კანადის ოთხმა უმთავრესმა პროვინციამ-კვებეკმა, ონტარიომ, ახალმა შოტლანდიამ და ახალმა ბრუნსვიკმა მიიღეს მონაწილეობა. ფედერალურ მთავრობას თითქმის უსაზღვრო უფლებები მიენიჭა, მას მხოლოდ ისეთი კანონის გამოცემა არ შეუძლიან, რომელიც ბრიტანიისა და სხვა სახელმწიფოთა შორის დადებულ ხელშეკრულებას არღვევს, ან ეწინააღმდეგება, თორემ სხვაფრივ მისი შემზღუდველი არავინ არის. თეორიულად ამ მთავრობას გენერალ-გუბერნატორი უდგას სათავეში, რომელსაც მეტროპოლიის მთავრობა ნიშნავს, მაგრამ წლიურად ასი ათას მანათ ჯამაგირს კი პროვინციათა მთავრობანი აძლევენ. გენერალ-გუბერნატორი კანადის პროვინციებში ინგლისის მეფის როლს ასრულებს, ე. ი. „მეფობს და კი არ განაგებს საქმეებს". გენერალ-გუბერნატორი მხოლოდ ფორმალურად ითვლება მთავრობის თავად, თორემ ნამდვილად კი ყოველ საქმეში იგი მინისტრთა „რჩევას" ემორჩილება და იმათ სურვილებს ასრულებს. ამიტომ ფედერალურ პარლამენტის წინაშე პასუხის მგებელი მინისტრები არიან და არა გუბერნატორი.

კანადის პარლამენტი ორი პალატისაგან შესდგება: სენატი, რომელიც ინგლისის ლორდების პალატას უდრის და წარმომადგენელთა პალატა, ანუ, როგორც ოფიციალურად იხსენიება, „საზოგადოებათა პალატა". სენატის წევრებს მინისტრების „რჩევით" გენერალ-გუბერნატორი ნიშნავს, რაც რადიკალურ პარტიებს ძალიან არ მოსწონთ. მათი სურვილი და მისწრაფების საგანი ის არის, რომ სენატის წევრებსაც ისევე, როგორც ქვედა პალატისას, თვით ხალხი ირჩევდეს და არა მთავრობა ნიშნავდეს. ეს მთავრობაც თუმცა მუდამ ხალხის ნდობით არის აღჭურვილი, მაგრამ თუ რომელიმე სამინისტრომ ხანგრძლივ შეინარჩუნა ძალა და გავლენა, სენატს სულ თავის მომხრეებით გაავსებს და შემდეგი სამინისტროსთვის ეს გარემოება ვერაფერი სასიამოვნო და სასურველი იქნება.

საზოგადოებათა პალატის წევრების არჩევაში ყოველი სრულწლოვანი (21 წლ.) მოქალაქე იღებს მონაწილეობას. ამ მხრივ კანადამ ბევრ ისეთ სახელმწიფოსაც გაუსწრო, რომელსაც ათას წელიწადზე მეტია რაც არსებობენ და საყოველთაო არჩევნები კი დღევანდლამდის არ მიუღიათ. მეოცე საუკუნემდის რუსეთი ჭირსავით გაურბოდა ხალხის წარმომადგენლობას და თავის გასამართლებლად მუდამ იმას ასახელებდა, რუსეთის ხალხს თითონ არ უნდა სხვა წესი და ვერც მოინდომებს, რადგან მონარქიული რეჟიმი მის ბუნებრივ ჩვეულების მოთხოვნილებას შეადგენსო. როცა დრო და ჟამი გავიდა და რუსეთის ხალხმა თავგასულ ბიუროკრატიას იმედი გაუცრუა, როცა ხალხმა სხვა გვარი წესწყობილება არა თუ მოისურვა, მოითხოვა კიდეც, ბიუროკრატია დიდის აღელვებით მიუახლოვდა მას და დიდის ამბით სახელმწიფო სათათბირო მისთავაზა. გარდა იმისა, რომ ეს სათათბირო თავის თავად საგულისხმიერო არას წარმოადგენს, მისი წევრების არჩევა ისეთ პირობებშია ჩაყენებული, რომ ხალხი საქვეყნო საქმეებიდან ძველებურად ისევ ჩამოშორებული იქნება და გარემოების პატრონ-ბატონად ისევ ბიუროკრატია დარჩება. გაზეთებმა ამბავი მოგვიტანეს—სათათბიროს მოწინავე წრეებს შურთ, რომ რუსეთის ერმა იმაზე ადრე მიიღო თავისუფლებაო. ტყუილადა შურთ, დრო ჯერ კიდევ დაკარგული არ არის, ვინ იცის, იქნება იმათ გვაჯობონ და იმათ ხვედრზე ადრე მიიღონ ის ნეტარი თავისუფლება, რომლისთვისაც ასე მძიმეთ იბრძვიან სათათბიროს მოწინავე წრეები.

კანადაზე ლაპარაკის დროს რუსეთი შემთხვევით მოგვაგონდა, თორემ ეს ორი ქვეყანა რა შესადარებელია, როცა ახალგაზრდა კანადამ ძველი კულტურით ცნობილ ინგლისსაც კი გაუსწრო ზოგიერთ შემთხვევებში. მაგალითად საყოველთაო არჩევნები ავიღოთ. ინგლისის საუკეთესო ნაწილი დიდი ხანია საყოველთაო არჩევნებზე ოცნებობს, მაგრამ საქმით მისი შემოღება კი ვერ მოუხერხებიათ. საზოგადოებათა პალატის წევრებს კანადაში ჯამაგირი აქვთ და ინგლისისას კი არა.

რაკი ქვედა, ანუ საზოგადოებათა პალატის წევრებს თვით ხალხი ირჩევს, მაშინ როდესაც სენატის წევრებს მთავრობა ნიშნავს, თეორიულად და ფაქტიურადაც პირველი ყოველთვის მაღლა სდგას და ხალხის სურვილების გამომხატველი, რასაკვირველია, უფრო ის არის ხოლმე. მაგალითად, საქვეყნო-საფინანსო თანხების დახარჯვის კანონ-პროექტი მხოლოდ საზოგადოებათა პალატაში შეიძლება რომ აღძრულ იქნეს. გარდა ამისა სენატს უფლება არა აქვს ამგვარი კანონ-პროექტი განხილვის დროს ან შეამოკლოს და ან შესცვალოს. სენატმა ან საგსებით უნდა მიიღოს ასეთი კანონ-პროექტი, ან მთლად უარჰყოს. ავსტრალიის ფედერაციაშიაც ამგვარსავე წესრიგს ვხედავთ, მხოლოდ იმ განსხვავებით კი, რომ ავსტრალიაში ეს წესი დაკანონებულია და კანადაში კი ჩვეულებაზე არის დამყარებული.

კანადის ფედერალური კონსტიტუცია ჩრდილო-ამერიკის შტატების კონსტიტუციის მიხედვით შეიმუშავეს, მხოლოდ იმ პატარა განსხვავებით კი, რომ ჩრდილო-ამერიკის შტატების კონსტიტუციაში ფედერალური მთავრობის კომპეტენცია და საზღვრებია ნაჩვენები, ყველა დანარჩენი უფლება კი პროვინციალურ მთავრობას ეკუთვნის. კანადის კონსტიტუციაში კი, წინააღმდეგ, პროვინციათა მთავრობის საზღვრებია ნაჩვენები და ყველა დანარჩენი უფლება ფედერალურ მთავრობას ეკუთვნის. ამგვარად, ერთი ისტორიკოსის არ იყოს, ფედერალური მთავრობის უფლებანი უსაზღვრონი არიან, მაშინ როდესაც პროვინციათა მთავრობის უფლებებს ფარგალი და საზღვრები არა აქვს ნაჩვენები. ფედერალურ მთავრობას ეკუთვნება: კრედიტი, ფულის სესხება, ვაჭრობის გაძღოლა, ბაჟებისა და გადასახადების შემოღება, ფულისა და ბანკის საქმე, საზომი, საწყაო, ფოსტა, რკინის გზა, სამხედრო და საზღვაო სამსახური, საზოგადო ნაოსნობა, თევზის ჭერა, სისხლის სამართლის საქმეები და ყველაფერი რაც მკვიდრ მცხოვრებლებს შეეხება და სხ.

იუსტიცია, სამოქალაქო უფლებათა დაცვა-განძლიერება, სახალხო განათლება, საზოგადო ქველმოქმედება და საზოგადოთ ყველაფერი, რასაც ადგილობრივი ხასიათი აქვს—ყველა ეს პროვინციალურ მთავრობას ეკუთვნის. ამასთან ფედერალურ მთავრობას უფლება აქვს პროვინციალურ საკანონმდებლო საბჭოების დადგენილება გააუქმოს ხოლმე, იმ შემთხვევაშიაც კი თუ ეს უკანასკნელი კანონიერად მოქმედებდა.

ერთის სიტყვით 1867 წლის კანონმდებლობამ კანადაში ისეთი ძალა შეჰქმნა, რომელსაც ვერავინ შეზღუდავს, გარდა ინგლისის პარლამენტისა, მაგრამ ფაქტიურად ისიც ძალიან იშვიათად მიმართავს ხოლმე ამ ზომას. ამგვარად სრულ დემოკრატიულ სახელმწიფოს—კანადას მეტად ძლიერი მთავრობა ჰყავს, რომელიც მხოლოდ სიტყვით ექვემდებარება ინგლისის პარლამენტს.

ყოველ პროვინციას თავისი გუბერნატორი ჰყავს, რომელსაც ადგილობრივ მოქალაქეთაგან გენერალ-გუბერნატორი ირჩევს და ხუთის წლით გუბერნატორად ნიშნავს. ეს გუბერნატორიც პროვინციალურ მინისტრების „რჩევას" ემორჩილება, მინისტრები კი ყველაფერში ადგილობრივ საკანონმდებლო საბჭოს აძლევენ პასუხს. პროვინციებს მხოლოდ ერთი საზოგადოებათა პალატა აქვთ, რის გამო პროვინციათა რეჟიმი ფედერალურზე უფრო დემოკრატიულია. ამგვარად კანადა ნამდვილად ფედერალურ რესპუბლიკას წარმოადგენს, რომელიც თავის რიგად პატარ-პატარა რესპუბლიკებისაგან შესდგება.

ფედერალურმა მთავრობამ როგორ მოაწყო კანადელების ცხოვრება, ამას შემდეგი წერილიდან დავინახავთ.

ი. ჰ—ვი

უნდა ვსთქვათ, რომ ორი-სამი პირი წინის მაგიერ უკან იხედებიან და ისევ ისე მტკიცედ თხოულობენ ნათხარს, როგორც წინად. რასაკვირველია, გლეხები, როგორც სხვა სოფლებში, ამის წინააღმდეგნი არიან და ამაზე კიდევ ეგზეკუციით აშინებენ. ვერ იქნა ვერ მორიგდნენ. ეგზეკუციის ჩასაყენებლად დღეც დანიშნეს. ჯერ მაზრის წინამძღოლმა გადაადებინა და დრო დაუნიშნა მორიგებისა, მერე, როგორც ეტყობა მაზრის უფროსიც ჰრიდებია ეგზეკუციას, რამდენჯერმე მიუწვევია თავადები და გლეხები მოსარიგებლად, მაგრამ ამაოდ. ხელახლად გადასწყდა ეგზეკუციის ჩაყენება. ალბათ იფიქრეს, ვინ იცის, რა შედეგი მოჰყვეს ეგზეკუციას, შეიძლება სისხლიც დაიღვაროსო, აწონ-დაწონეს და ისევ ძალაუნებურად დასთანხმდნენ ნათხარზე, როგორც წინედ. ბევრმა მოსავლის ნაწილი კიდეც გალეწა, ძნა ხორბლად აქცია, ახლა გამოსავალზე მოუვიდათ ლაპარაკი. თავადები ორ კოდსა სთხოვენ დღიურში, გლეხები კოდს აძლევენ, ამაშიაც ვერ შეითანხმდნენ, და მაინც არ ასცდა ს. კურდღელაურს ეგზეკუცია. გრემიდან გამოიწვიეს ყაზახები და 17 აგვისტოს დილით ეგზეკუციათ ჩაუყენეს, ხოლო მის უფროსად დანიშნეს ქ. თელავის ბოქაული.

დევი.

სასამართლო

ბაქოს გუბერნატორის თავ. ნაკაშიძის მოკვლა *)

(საკუთარის კორესპონდენტისაგან).

19 აგვისტოს სხდომა დაიწყო დილის 9½ საათზედ. თავმჯდომარემ მოახსენა სასამართლოს, რომ ვანქიდან სამხედრო გამომძიებლის დუბროვსკისგან მოვიდა დეპეშა, რომ დუბროვსკისათვის უწყება ჩაუბარებიათ 17 აგვისტოს, რის გამოც დანიშნულ ვადაზედ ვერ გამოცხადდება სასამართლოში. მოხსენდა სასამართლოს აგრეთვე ცნობა ბაქოს ადმინისტრაციისა, რომ მოწმენი ქერბალაი და გურბანი, რომელნიც სასამართლოს დაემალნენ, წასულან ბაქოდან; ალიდი-კი დაჭერილია და მოყვანილია სასამართლოში.

„მიგაჩნიათ შესაძლოდ, მიმართა თავმჯდომარემ მხარეებს, მოისმინოთ საქმე დასახელებული მოწმების დაუსწრებლად? უნდა გაცნობოთ, რომ მათი გამოუცხადებლობა სასამართლოს მიაჩნია პატივსადებად“. ბრალმდებლის თანაშემწე პოდშოლ. მოსკოვენკომ სთქვა: „არავითარ შემთხვევაში არ მიმაჩნია შესაძლოდ ამ საქმის განხილვა. მოწმე სტრელკოვმა წინასწარ გამოძიებაზედ სთქვა, რომ მუშების კრებაზედ იმან ნახა, როგორ გამოუტყდა ბრალდებული მეირამოვი ერთს მუშას თავ. ნაკაშიძის მოკვლაში მონაწილეობის მიღებაში. დუბროვსკი-კი ადასტურებს, რომ სტრელკოვის ჩვენება წინასწარ გამოძიებაზედ იმან შეცდომით შეიტანა, რადგან სტრელკოვი, როდესაც ამბობდა მეირამოვის გამოტეხაზედ, უმატებდა, რომ მეირამოვმა თვითონ-კი არ ისროლა ყუმბარა, არამედ მონაწილეობას იღებდა იმ პირთან ერთად, რომელმაც ისროლა ყუმბარა, გ. ი. ზიადიანცთან. მარტო დაკითხვა ქერბალაის და გურბანის ჩვენებისა საკმაო არ არის; სასამართლომ იმათ პირით უნდა გაიგონოს ჩვენება, პირდაპირ შთაბეჭდილება უნდა მიიღოს მათის ჩვენების გულ-წრფელობისა. ვითხოვ, რომ საქმე უვადოდ გადადებულ იქნეს. რადგან ბრალისდება შეუძლებელია ბრალმდებლის მოწმების დაუსწრებლად“.

ნაფიც-ვექ. ზარუდნი: „როცა ვიცავთ ბრალდების ინტერესებს, არ უნდა დავივიწყოთ მცველის ინტერესებიც. ბრალდებულნი სამ თვეზე მეტია, რაც საპყრობილეში არიან; მათ შორის 16 წლის ყმაწვილიც არის. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ისინი დამნაშავენი არ არიან და ტყუილად სხედან დამნაშავეთა სკამზედ. მოწმეები ქერბალაი და გურბანი არ გამოცხადნენ, როგორც თვით წარმომადგენელი ბრალდებისა ბრძანებს, კანონიერ მიზეზების გამო, რადგან მათთვის უწყება არ ჩაუბარებიათ იმიტომ, რომ პოლიციას ვერ უპოვნია. ყველასათვის ცხადია, და მეც ვაძლევ ჩემ თავს ნებას და ვამბობ, რომ ისინი სასამართლოს განგებ ემალებიან. სად არის გარანტია, რომ იპოვნიან და მოიყვანენ მათ, მეორე სხდომისათვის? კიდევ ვიმეორებ, რომ ჩვენ დარწმუნებულნი ვართ სიმართლეს იმ საქმისას, რომელსაც ვიცავთ. რაიცა შეეხება მოწმად გამოწვევას პოდპოლკოვნიკის დუბროვსკის, მე არ შემიძლიან დავეთანხმო ამგვარ უკანონო მოთხოვნას. პროკურორს ესურს შეასწოროს ფაქტიური შეცდომები, რომელიც შეპარულა საბრალმდებლო აქტში. ამ შესწორებით შეიცვლება საბუთები ამა თუ იმ ბრალდებულის წინააღმდეგ და ეს კი უეჭველია თქვენ თვალში შეამცირებს საბუთების მნიშვნელობას. ჩვენ ყველანი ვსთხოვთ სასამართლოს ნუ გადასდებს საქმეს. სასამართლოს საკმაო ფაქტი აქვს, რომ ნათელი მოჰფინოს ამ საქმეს“.

ნაფ. ვექილი ბაკოვიც დაეთანხმა ზარუდნის განცხადებას და მოითხოვა, საქმე არ გადაიდოს. ესევე მოითხოვა ვექილმა ვეისკემა.

სასამართლო სათათბიროდ წავიდა. სხდომის განახლებისას თავმჯდომარემ განაცხადა: სასამართლომ კანონიერად იცნო მოწმ. პოდპოლკ. დუბროვსკის და ორ თათრის გამოუცხადებლობა, რადგან პირველმა უწყება გვიან მიიღო, ხოლო უკანასკნელებს სულ არ მიუღიათ. ამიტომ სასამართლომ დაადგინა რადგან საქმის გამოსარკვევად დიდად საჭიროა ზემოხსენებულ მოწმეთა ჩვენება, საქმის გარჩევა გადაიდოს 20 სექტემბრისათვის.

შემდეგ დამცველებმა იშუამდგომლეს თავმდებობით ბრალდებულთა განთავისუფლება, მაგრამ სასამართლომ არც ეს შეიწყნარა.

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“, № 2874 და 2892.

ტფილისის ქალაქის სამღვდელოების კრება

ამ დღეებში მოხდა ტფილისის ქალაქის სამღვდელოების რამდენიმე კრება სამრევლო საეკლესიო სკოლების შესახებ მოსალაპარაკებლად და სასწავლო გეგმის შესადგენად. კრებამ დაადგინა: 1. რადგან სამრევლო საეკლესიო სკოლებში მეცადინეობა სამღვდელო პირთ იმდენს დროს ართმევთ, რომ აღარ შეუძლიანთ მრევლის სარწმუნოება-ზნეობრივ აღზრდაზე ზრუნვა და რადგან ამასთან ტფილისის ქალაქის თვითმმართველობას საკმაო შეძლება აქვს გაუძღვეს პირველ-დაწყებით სწავლას, დაიხუროს ქალაქში არსებული სამრევლო საეკლესიო სკოლები და ის ფული, რომელიც ამ სკოლების შესანახად იხარჯება, გადაიდოს სრულად სამრევლო სკოლების გასამრავლებლად; 2. სასურველია ყველა პირველ დაწყებითი სკოლები ერთის ტიპისა იყოს და ყველასათვის შემუშავდეს ერთი სასწავლო გეგმა. ამის გამო სახელწოდება „სამრევლო საეკლესიო სკოლა“ უნდა გაუქმდეს და შეიცვალოს „პირველ დაწყებით სკოლა“-მა და ამ ეკლესიასთან: 3. აქამდე ყველა მღვდელი ვალდებული იყო გაეხსნა სამრევლო სკოლა და გამოენახა სადგომი სკოლის შესანახად. ეს არის მიზეზი, რომ საეკლესიო ქონება მეტად შესუსტდა და სხვა საქმეებს ვეღარ უძღვება. ამიტომ საჭირო სკოლები გაიხსნას მხოლოდ იქ, სადაც სამღვდელო პირნი უნდა განთავისუფლდნენ სკოლის მოვალეობისაგან. სამღვდელოებამ უნდა აასრულოს მხოლოდ ის, რაც პირდაპირ იმის მოვალეობას შეადგენს: 4. მავნებლად იქნას ცნობილი სამღვდელოებისათვის ჟურნალის „სასულიერო მოამბის“ მიმართულება, ამიტომ ამიერიდან აღარავინ გაიწეროს იგი, ამასთან ეთხოვოს ტფ. სასაზინო პალატას შესწყვიტოს ჯამაგირებიდან იმ 5 მან. გამოქვითვა, რომელიც „სასულიერო მოამბისათვის“ ხდებათ.

შემდეგ კრებამ პირველ დაწყებით სკოლის სასწავლო გეგმა შეიმუშავა. ქართული პირველ დაწყებითი სკოლები განიყოფება სამს ხარისხად. პირველი არსებობს წერა-კითხვის შესასწავლად, ორი წლის კურსით; მეორე—4 წლის კურსით, ხოლო ორ კლასიანი სკოლები—6 წლის კურსით. კურსის დასრულებამდე ყველა საგნები უნდა ისწავლებოდეს მშობლიურ ენაზედ; რუსული ენის სწავლება უნდა დაიწყოს მესამე სამოსწავლო წლიდან; წერა-კითხვის სკოლებში რუსულ ენას არ ასწავლიან. წერა-კითხვის სკოლებში ერთი მასწავლებელი უნდა იყოს, ერთ-კლასიან სკოლებში—ორი მასწავლებელი, ხოლო ორ კლასიან სკოლებში—სამი. პირველ დაწყებით სკოლებში უნდა ისწავლებოდეს შემდეგი საგნები: სამღვთო სჯული, ქართული ენა, რუსული ენა, ანგარიში, სამშობლოს გეოგრაფია და ისტორია, ბუნების მეტყველება, საოქალაქო ისტორია, საეკლესიო ისტორია, ჰიგიენა და გალობა. პირველს და მეორე სამოსწავლო წელს კვირაში 18 გაკვეთილი უნდა იყოს, მესამე და მეოთხე წელს—24, ხოლო მეხუთე და მეექვსე წელს—28 გაკვეთილი; აქედან წერა-კითხვის სკოლაში სამღვთო სჯულისთვის 4 გაკვეთილი, ქართულ ენისთვის—6, ანგარიშისთვის—5, გალობისთვის 2 და ბუნების მეტყველებისთვის—1 გაკვეთილი.

ერთ კლასიან პირველ დაწყებით სკოლაში 4 წლის კურსით 1 და 2 წელს უნდა ისწავლებოდეს წერა კითხვა, ხოლო მესამე წლიდან დაიწყოს საგნების სწავლება. სამღვთო სჯული—3 გაკვეთილი, ქართული ენა და ხუცური—6, რუსული ენა—6, ანგარიში—3, სამშობლო გეოგრაფია და ისტორია—2, ბუნების მეტყველება—2, ჰიგიენა—1 და გალობა—1 გაკვეთილი.

ორ კლასიან სკოლაში პირველ ოთხს წელს საგნები ისწავლება იმ რიგით, როგორც ერთ კლასიან სკოლაში, ხოლო მე 5 და 6 წელს სამღვთო სჯულისთვის იქნება 2 გაკვეთილი, ქართულ ენისთვის—4 გაკვეთილი, რუსულ ენისთვის—6, ანგარიშისთვის—3, გეომეტრიისთვის—2, ფიზიკისთვის—2, გეოგრაფიისთვის—2, ბუნებისმეტყველებისთვის—2, საოქალაქო და საეკლესიო ისტორიისთვის—3, ჰიგიენისთვის—1 და გალობისთვის—1 გაკვეთილი.

მასწავლებლებად უნდა მიიწვიონ მოსწავლეთა სამშობლო ენის კარგად მცოდნენი. სკოლების მართვა გამგეობის საქმეში საარჩევნო წესი უნდა იქნეს შემოღებული.

დასასრულ კრებამ აარჩია სამის კაცისაგან შემდგარი კომისია და დაავალა სასწავლო გეგმის დაწვრილებით შემუშავება.

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან
22 აგვისტო

სუხუმი, 22 აგვისტო. ღამით ციხიდან გაიპარა 6 საშიში ტუსაღი, მათ რიცხვში ჯაიანიც, რომელიც სოხუმის ოლქის უფროსის მოკვლის გამზრახველი იყო.

ტოკიო. აქაურ ჯარებში ხოლერის გაჩენის ამბავი არ მტკიცდება.

პეტერბურგი. ხელმწიფის დეპეშა რუზველტისადმი: „მიიღეთ ჩემი მოლოცვა და გულწრფელი მადლობა თქვენის ენერგიისთვის, რამაც ბედნიერი ბოლო მისცა ზავს. ჩემი ქვეყანა ჯეროვნულად დააფასებს იმ მონაწილეობას, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ პორტ-სმუტის კონფერენციაზე.

ნიუ-იორკი. ამბობენ, რომ იაპონიის რწმუნებულებმა გადააჭარბეს დათმობაში; „ნიუ-იორკ-ტაიმს“-ის სიტყვით იაპონელებს უარი უნდა ეთქვათ კონტრიბუციაზე, მაგრამ მთელი სახალინი უნდა მიეღოთ. რაც უნდა მოხდეს, ხელშეკრულობაზე უარის თქმა შეუძლებლად მიაჩნიათ.—რუზველტს მხურვალე სამადლობელი დეპეშა მოუვიდა მიკადოსაგან.

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია: ხელმწიფემ შემდეგის სიტყვით მიმართა სპარსეთის შაჰის სადილზე: „მსურს დავუმოწმო თქვენს უდიდებულესობას ჩემი სრული კმაყოფილება თქვენის ნახვის მიერ გამოწვეული და ერთხელ კიდევ გამცნოთ ჩემი თქვენდამი მეგობრული გრძნობები და საუკეთესო სურვილები სპარსეთისადმი. ვსვამ მისის უდიდებულესობის შაჰის სადღეგრძელოს. სასახლის ორკესტრმა სპარსული ნაციონალური ჰიმნი შეასრულა.

ხელმწიფეს პასუხად შაჰიმ უთხრა, რომ იგი ღრმა მადლობას სწირავს ხელმწიფეს მისს სახელმწიფოს საზღვრებში კარგად დახვედრისათვის და თავის დღეში არ გამოუვა მას გონებიდან ეს ძვირფასი მოგონებანი. ამის შემდეგ მან ადღეგრძელა ხელმწიფე, დედოფალი და მთელი საიმპერატორო საგვარეულო. ორკესტრმა რუსული ჰიმნი შეასრულა.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
22 აგვისტო.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა მხურვალე მადლობა მისწერა დეპეშით პრეზიდენტ რუზველტს ზავის ასე ბედნიერად დაბოლოვებისთვის.

გაზეთების ცნობით შინაგან საქმეთა სამინისტროში აუარებელი შუამდგომლობა მოდის ერობების და ქალაქებისგან იმის შესახებ, რომ ნება დართონ სათათბიროს წარმომადგენელთა არჩევის საკითხზე იქონიონ მსჯელობა გამართონ კრებები, რათა მიღწეულ იქნას უფრო რაციონალური შედეგი არჩევნებისა. სარწმუნო ცნობებით, ახლო მომავალში შეუდგებიან სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა კაბინეტის დებულების შედგენას.

რომი. „ტრიბუნა“-ს მიერ ტიენცზინიდან მიღებულ ცნობის თანახმად იაპონიაში რევოლიუცია დაიწყო.

ნიუ-იორკი. ხელშეკრულობა გათავებულია და ამ ჟამად მას პერგამენტზე სწერს ორი სპეციალისტი კალიგრაფი ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა. სახალინის შესახები დაბრკოლებანი მოგვარდა საბოლოოდ. პირობის ძალით ვერც რუსეთი და ვერც იაპონია ვერ ისარგებლებენ კუნძულით სასტრატეგიო მიზნით. ხელშეკრულობის პირველი მუხლით ორივე სახელმწიფოთა შორის სამუდამო ზავი უნდა იყვეს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ბ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მისვლა რკინის გზის მატარებლებისა
18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № (20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.) 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ., (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღ. 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.) 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 9 წ. (11 ს. 7 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ.) 2 ს. 44 წ.)

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 ს. (8 ს. 20 წ.).

შორაპანამდე: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.).

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამ ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ, სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობისაგან სესხის გადაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მესესხებელთაგან მიღება, ვადამდის სესხის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქმნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, მათი იჯარის გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორის კ. ნ. აბულაძის სადგომზედ, ოლგას ქუჩაზე № 4/a, კნეინა დიასამიძის სახლში. ტელეფონი № 145. (წ.)

ბებია ქალი

სოფიო ილიას ასული ველბორდტ ლოკ მ. გადავიდა ხაზინის (კაზნაჩეისკის) ქუჩა, სახლი № 7 კნ. თუმანოვისა, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ. (თვ.—255—29)

ი ძ ლ ე ვ ა

ქირით ქალაქის მეხუთე ნაწილში, რკინის ბაზარში, ორი დუქანი და ორი ოთახი ზევით. პირობების გაგება შეიძლება პატრონთან, ისარლოვთან, ელისაბეტინის ქუჩ. 1. № 71. (2—329—2)

კბილებს

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—28)

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მუშტრებს უფასოთ ეგზავნებათ.

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნი-ნოვგოროდი.

კალოშებისა

და რეზინის სხვა საქონლისათვის
უდიდესი ჯილდო
(Grand prix)
პარიზის გამოფენაზე
მიენიჭა რუსეთში მხოლოდ
ამხანაგობას
რუსეთ-ამერიკის
რეზინის მანუფაქტურისას
ს.-პეტერბურგში,
დაარსებულს 1860 წელს

რეზინის კალოშების
ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას.
„С.-Петербургъ“
წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანია).
ნარდად ვაჭრობას აწარმოებს სავაჭრო სახლი
„ლეოპოლდ ნეიშელერი“
პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, ტაშკენტს და ტფილისში.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონი- მ. კ. შვილისა—პოემა ბაბანაზი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	55
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	10
დვინის დაცემა, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	25
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	20
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან კ. [illegible]	1	—

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვისა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა სურს, მიმართოს ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (25—28)

Доз. ценз. Тифлисъ, 22 Августа 1905 г.

Печ. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ამხ—სა